პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 17 ივლისი, 1949 წ. № 141 (8444). ფასი 20 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს და აღნიშნავენ ახალ წარმატებებს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა ავიაციის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა საჰაერო ფლოტს!

დიდება ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს—დიდ სტალინს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტალინური ავიაციის დღესასწაული

დღეს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა. იგი არის არა მარტო ავიაციის მუშაკთა — მფრინავების, კონსტრუქტორების, საავიაციო მრეწველობის მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების დღესასწაული, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაული. დღევანდელი დღე სტალინური ავიაციის წარმატებათა და მიღწევათა დათვალიერების საყოველთაო სახალხო დღეა.

ჩვენს ქვეყანაში ხალხს უყვარს ავიაცია, ამაყობს მისი ზრდითა და წარმატებით. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ საჰაერო ფლოტის ზრდისა და სრულყოფისათვის, მისი ადამიანებისათვის. სამშობლო ჩვენს საჰაერო ფლოტს აძლევს პირველხარისხოვან საავიაციო ტექნიკას, რომელსაც თავიანთი დაძაბული შემოქმედებითი შრომით ქმნიან საბჭოთა ქვეყნის მუშები, ინჟინრები, კონსტრუქტორები და მეცნიერები. სამშობლო ავსებს თავის საჰაერო ფლოტის რიგებს დახელოვნებულ მფრინავთა, ტექნიკოსთა და სპეციალისტთა ახალ-ახალი კადრებით.

საბჭოთა ავიაციის მთელი განვითარება და ზრდა, მისი აღჭურვა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მანქანებით, განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სახელთან. ამხანაგი სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საავიაციო ქარხნებისა და კონსტრუქტორთა ბიუროების მუშაობას. მის მითითებათა და რჩევა-დარიგების საფუძველზე ჩვენმა ავიაკონსტრუქტორებმა განსაზღვრეს საბჭოთა თვითმფრინავმშენებლობისა და მოტორმშენებლობის ძირითადი პრინციპები. სტალინური ხუთწლედების მანძილზეც, დიდი სამამულო ომის პერიოდშიც ჩვენში არ შექმნილა თვითმფრინავი, რომელშიც ამა თუ იმ სახით არ განხორციელებულიყო ამხანაგ სტალინის მითითებანი.

მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, განუხრელი სურვილით — გაემართლებიათ დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ნდობა, საბჭოთა მფრინავები და კონსტრუქტორები დაუღალავად იბრძოდნენ საპატიო ამოცანის შესასრულებლად—„ეფრინათ ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად“. საკმარისია ითქვას, რომ ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში სსრ კავშირმა მოიპოვა საერთაშორისო საავიაციო რეკორდების დიდი ნაწილი თვითმფრინავების სიშორეზე, სისწრაფესა და სიმაღლეზე ფრენაში, აგრეთვე საპლანერო და საავიაციო მოდელების დარგში, რის შედეგადაც საავიაციო რეკორდების რაოდენობის მხრივ იგი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში გამოიზარდნენ ასობით, ათასობით ჰაერის დევგმირები, ისეთები, როგორც ჩკალოვი, გრომოვი, კოკინაკი, საფონოვი, პოკრიშკინი და მრავალი სხვა. მათ სახელებს მთელი მსოფლიოს ხალხები იცნობენ.

სტალინურმა ავიაციამ დიდი სამამულო ომის წლებში გამოავლინა თავისი დევგმირული ძალა და მაღალი საბრძოლო თვისებები. ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალების მთელ საბრძოლო მოქმედებას საფუძვლად ედო მჭიდრო თანამოქმედება ჯარების სხვა სახეობასთან. ამან უზრუნველყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლევამოსილი გამარჯვება მტერზე.

სტალინურმა შევარდნებმა, რომლებიც მუდამ გრძნობდნენ დიდი სტალინის მზრუნველობასა და მხარდაჭერას, შესანიშნავად შეასრულეს უმაღლესი მთავარსარდლის ყველა საბრძოლო დავალებანი და თავიანთი უშიშვალითო გმირობითა და სიმამაცით ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებათა ისტორიაში. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ავიაციის ლეგენდარული გმირების — გასტელოს, ტალალიხინის, ხარიტონოვის, ივანოვის, წურწუმიას, ბენდელიანის, ანტონენკოს და მრავალ სხვათა სახელებს, რომელთა ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სწორუპოვარ მაგალითებზე იზრდებიან ჩვენი ქვეყნის ავიატორთა ახალგაზრდა კადრები.

დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ათიათასობით საბჭოთა ავიატორი დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 2.100 კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 61 მფრინავს — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო მფრინავებს ა. პოკრიშკინს და ი. კოჟედუბს — სამგზის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის ამ მაღალ შეფასებას, საბჭოთა ავიატორები ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში უპასუხებენ თავიანთი საბრძოლო მომზადების სრულყოფით, ახალი საავიაციო ტექნიკის შესანიშნავად დაუფლებით, საავიაციო კულტურის ამაღლებით, ჰაერში და ხმელეთზე დისციპლინის განმტკიცებით. ისინი ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის სადარაჯოზე.

ქართველი ხალხი, საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად, ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — სტალინური ავიაციის დღეს. იგი კანონიერად ამაყობს მშობლიური ავიაციის, მისი მფრინავებისა და კონსტრუქტორების მიღწევებით, ამაყობს იმით, რომ საბჭოთა საჰაერო ფლოტის ზრდასა და განვითარებაში მასაც მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი. საბჭოთა საქართველოს მშრომელები არც შემდგომ დაიშურებენ თავიანთ ძალასა და ენერგიას საბჭოთა მძლავრი სახელმწიფოს საჰაერო ფლოტის განვითარებისათვის, მისი ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოს საჰაერო ფლოტს!

დიდება ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს!

## მახარაძის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის, წითელწყაროს, ბოლნისის, ტყიბულისა და თელავის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა და ვანის საგრენაჟო ქარხანამ შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა შეასრულეს 100,8 პროცენტით, ყვარლის—100,3 პროცენტით, ახმეტის—104,5 პროცენტით, გურჯაანის—100,6 პროცენტით, წითელწყაროს—111,1 პროცენტით, ბოლნისის — 108,3 პროცენტით, ტყიბულის—105,8 პროცენტით და თელავის—102,0 პროცენტით.

ვანის საგრენაჟო ქარხანამ გეგმა შეასრულა 107,7 პროცენტით.



## ბრძანება

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

### № 65

**1949 წლის 17 ივლისი** — **ქალაქი მოსკოვი**

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, მექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს და აღნიშნავენ ახალ წარმატებებს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა ავიაციის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

მოგესალმებით და მოგილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს—სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ სახელოვანი საბჭოთა ავიაციის მთელ პირად შემადგენლობას და საავიაციო მრეწველობის ყველა მუშაკს შემდგომ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საავიაციო ძლიერების განმტკიცებაში.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 1949 წლის 17 ივლისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

**გაუმარჯოს საბჭოთა საჰაერო ფლოტს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!**

**გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!**

**გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!**

**გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს—დიდ სტალინს!**

**სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი**

## ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა ქართულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომში შეტანილია 1924 წელს დაწერილი ნაწარმოებნი.

1924 წელი იყო პირველი წელი, როდესაც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი თავიანთ შემოქმედებითს მუშაობას სოციალიზმის მშენებლობის დარგში განაგრძობდნენ ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ამხანაგმა სტალინმა შეამჭიდროვა პარტია ცენტრალური კომიტეტის გარშემო და დარაზმა იგი სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

ამხანაგ სტალინის ამ ტომში შესულმა ნაწარმოებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ტროცკიზმისა და სხვა ანტილენინურ დაჯგუფებათა იდეურ განადგურებაში, ლენინიზმის დაცვის, დასაბუთებისა და განვითარების საქმეში.

მეექვსე ტომი იწყება ამხანაგ სტალინის საუბრით რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან „დისკუსიის შესახებ“ და მოხსენებით რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე „პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ“. საუბარიც და მოხსენებაც მიძღვნილია ტროცკიზმის მხილებისადმი და ბოლშევიკური პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობისათვის ბრძოლისადმი.

ამ ტომში მოთავსებულია ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე „ლენინის გარდაცვალების გამო“, რომელშიც ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის სახელით დადო დიადი ფიცი ვ. ი. ლენინის ანდერძის წმიდად დაცვისა და განხორციელების შესახებ.

ტომში შესულია ი. ბ. სტალინის ცნობილი ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, რომელშიც ოსტატურად გადმოცემული და თეორიულად დასაბუთებულია ლენინიზმი.

საერთაშორისო მდგომარეობის, პარტიის შინაგანი ცხოვრებისა და მისი განმტკიცების, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის, სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელი მასების აღზრდისა და გარდაქმნის საკითხებისადმი მიძღვნილია ნაშრომები: „ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში რკპ(ბ) XIII ყრილობას“, „რკპ(ბ) XIII ყრილობის შედეგების შესახებ“, „საერთაშორისო მდგომარეობისათვის“, „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად“ და სხვ. ტომი თავდება ნაწარმოებით „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა“, სადაც თეორიულად განზოგადებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილება, დასაბუთებული და განვითარებულია ლენინური მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

ტომში პირველად ქვეყნდება „წერილი ამხ. დემიან ბედნის“.

ტომი დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა. ტომის ტირაჟი 35 ათასი ეგზემპლარია.

## ფიზკულტურელის საკავშირო დღე

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმია, ჩვენი ახალგაზრდობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღეს ზეიმობს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე საბჭოთა ახალგაზრდობის სილამაზისა და ძლიერების საყოველთაო სახალხო დღესასწაულია. ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებზე საბჭოთა ფიზკულტურული ახალგაზრდობა გვიჩვენებს თავის ფიზიკურ გამობრძმედილობას და მზადყოფნას გადალახოს ყოველგვარი სიძნელენი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის გზაზე.

ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებაში. იგი ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად საყოველთაო სახალხო მოძრაობად გადაიქცა.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი მუდამ ზრუნავენ მოზარდი თაობის აღზრდისათვის. სსრ კავშირში შექმნილია ყველა პირობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს „აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელსაც ექნება იმის უნარი, რომ სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან“ (სტალინი).

საბჭოთა ფიზკულტურელი ახალგაზრდობის ნამდვილი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი, რომლის ისტორიაშიც მათ სამშობლოსათვის უსაზღვრო თავდადებისა და გმირობის არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს.

საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურელებს საბჭოთა კავშირში ერთერთი საპატიო ადგილი უკავიათ. ქართველ ახალგაზრდობას დიდად უყვარს სპორტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში არსებულ 4.500-ზე მეტ კოლექტივსა და წრეში გაერთიანებულია 300 ათასამდე კაცი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღების შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის შექმნილია ყოველგვარი პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის. ასობით მილიონი მანეთი დაიხარჯა და იხარჯება სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისათვის. ამჟამად საქართველოს ფიზკულტურელების სამსახურშია ჩაყენებული შესანიშნავი სტადიონები, ასობით დიდი, საშუალო და მცირე სპორტული მოედანი, საცურაო აუზები, იალქნიანი და ნიჩბიანი გემები, სასროლეთები, საგიმნასტო დარბაზები, ავტო-მოტო სკოლები და სხვ.

საბჭოთა სპორტის სახელოვან ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა საქართველოს ნიჭიერმა წარმომადგენლებმა. ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოებისათვის ფართოდ არის ცნობილი ქართველი სპორტსმენების სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატების ნ. დუმბაძის, ე. გოკიელის, გ. ეგნატაშვილის, ა. ჯორჯაძის, კ. კობერიძის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატების ლ. სანაძის, მ. გორგასლიძის, გ. ხანუკაშვილის, შ. ჩიხლაძის, ა. მეკოკიშვილის, ა. ციმაკურიძის და მრავალ სხვა შესანიშნავ ფიზკულტურელთა სახელები.

საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უდავო წარმატება აქვთ მოპოვებული სხვადასხვა სახის სპორტის, განსაკუთრებით ნაციონალური სპორტის, განვითარებაში. მაგრამ მიღწეულით როდი უნდა დავკმაყოფილდეთ, საჭიროა კიდევ უფრო მეტი წარმატებებისათვის ვიბრძოლოთ.

ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველს — ფიზკულტურის პირველადი კოლექტივები წარმოადგენენ. ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ეს კოლექტივები, მათი საშუალებით ვიბრძოლოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის.

ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საფუძველია „მშთ“ კომპლექსი, რომელიც შემოღებულია კომკავშირის ინიციატივით. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა აქტიურად მიიზიდონ ჭაბუკებისა და ქალიშვილების მრავალრიცხოვანი არმია I და II საფეხურის „მშთ“ და „იმშთ“ ნორმების ჩაბარებაში. საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დარგში მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაუდონ ბრძოლა იმ ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირს უსახავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამ ამოცანათა განხორციელებისათვის სერიოზული მუშაობა მოეთხოვებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს და საქართველოს პროფორგანიზაციებს. მათ უნდა არსებითად გარდაქმნან მუშაობა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 4 მარტის დადგენილებათა შესაბამისად, გააძლიერონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივი კომიტეტების და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებისადმი, ფიზკულტურის ძირეული კოლექტივებისადმი, დაეხმარონ მათ სპორტის სხვადასხვა სახეობათა განვითარებაში, ფიზკულტურელთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებაში.

ეჭვს გარეშეა, საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც გარემოსილი არიან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობითა და ყურადღებით, ღირსეულად შეასრულებენ მათს წინაშე მდგომ ამოცანებს და ახალ-ახალ წარმატებას მოიპოვებენ საქართველოში მასობრივი სპორტის განვითარებისა და სპორტის ოსტატობის მწვერვალების დაუფლების საქმეში.

## ი. ბ. სტალინის და ლ. პ. ბერიას მონუმენტები

**თიანეთი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის წინ ხეხილითა და ყვავილებით შემკობილ ბაღში დაიდგა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი, ხოლო მშრომელთა დეპუტატების თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის ახლად გაშენებულ ბაღში — დიდი სტალინის თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას მონუმენტი. ამას გარდა, სასტუმროს წინ გაშენებულ პატარა სკვერში მაღალ კვარცხლბეკზე დადგეს გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ბიუსტი.

კომუნისტი

კვირა, 17 ივლისი, 1949 წ. № 141 (8444).

# სტალინური ავიაციის ზეიმი

16 წლის წინათ, 1933 წელს, აჯამებდა რა პირველი ხუთწლედის შედეგებს, ამხანაგმა სტალინმა წარმოთქვა ისტორიული მნიშვნელობით აღსავსე სიტყვები: „ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს“. მაშინვე, აღნიშნა რა ახალგაზრდა საავიაციო მრეწველობის მუშაკთა და მამაცი საბჭოთა ავიატორების შესანიშნავი დამსახურება, ჩვენმა ხალხმა პირველად იდღესასწაულა სტალინური ავიაციის დღე. მას შემდეგ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე გახდა ჩვენი ხალხის საყვარელი ტრადიციული დღესასწაული, დღე საბჭოთა ავიატორების ანგარიშისა თავიანთ წარმატებათა შესახებ საფრენოსნო ოსტატობაში, ჩვენი საავიაციო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა შესახებ.

წელს ჩვენი ქვეყანა საავიაციო დღესასწაულს აღნიშნავს უდიდესი შრომითი აღმავლობის ვითარებაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბჭოთა ადამიანები ცხადყოფენ შრომითი გმირობის ნიმუშებს, მთელ თავიანთ ძალასა და ცოდნას ახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განუხრელად მიდიან წინ აგრეთვე საბჭოთა მეომრები, სტალინური შევარდნები. ისინი, ხალხის ერთგული შვილები შეუპოვრად აუმჯობესებენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას, ფხიზლად დგანან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე, შეუპოვარი შრომით სახელს უხვეჭენ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, სტალინურ საჰაერო ფლოტს.

თავის ტრადიციულ დღესასწაულს საბჭოთა ავიატორები ეგებებიან ახალი წარმატებებით ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი საავიაციო სახელმწიფოა, ვამაყობთ იმით, რომ პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მზრუნველობის მეოხებით, მთელი საბჭოთა ხალხის ღონისძიებათა მეოხებით ჩვენში შექმნილია პირველხარისხოვანი საავიაციო მრეწველობა, გვყავს ბრძოლებში ნაცადი სამხედრო-საჰაერო ძალები.

ოდითვე რუსი ადამიანები ოცნებობდნენ საჰაერო სივრცეების დაპყრობაზე. უდავოდ დამტკიცებულია ჩვენი სამშობლოს პრიორიტეტი საჰაერო ფრენისა და ავიაციის დარგში. რუსი ადამიანები თითქმის ყველა სახის საფრენი აპარატების შემქმნელები არიან. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ პირველი თვითმფრინავი ნიჭიერმა რუსმა მეცნიერმა და გამომგონებელმა ა. თ. მოჟაისკიმ ააშენა ამერიკელ ძმათა რაიტებზე 20 წლით ადრე. გენიალური რუსი მეცნიერები ნ. ე. ჟუკოვსკი, კ. ე. ციოლკოვსკი, ს. ა. ჩაპლიგინი თანამედროვე მსოფლიო საავიაციო მეცნიერების შემქმნელები, ავიაციის, აეროდინამიკისა და რეაქტიული მოძრაობის საფუძვლების შემოქმედნი იყვნენ. რუსი ხალხიდან გამოვიდა შესანიშნავ მფრინავთა — თანამედროვე პილოტაჟის ფუძემდებელთა მთელი პლეადა. მათ შორის განსაკუთრებით ისახელეს თავი ნესტეროვმა, კრუტენმა, არცეულოვმა და სხვებმა.

მაგრამ ჩვენმა ავიაციამ ნამდვილ აყვავებას მიაღწია მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ბოლშევიკური პარტია, მისი დიდი ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის დასაწყისიდანვე საფუძვლებს უყრიდნენ ჩვენს საავიაციო ძლიერებას. ვლადიმერ ილიას-ძე პირველი საავიაციო სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სასწავლებლების შექმნის ინიციატორი იყო, რომლებიც შემდეგ საავიაციო-ტექნიკური აზროვნების უდიდეს ცენტრებად გადაიქცნენ (ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტი, ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია). ამხანაგი სტალინი ბევრ ძალასა და ენერგიას ახმარდა და ახმარს საბჭოთა ავიაციის განვითარებას, მის საბრძოლო გამოყენებას და მფრინავთა კადრების მომზადებას.

ჯერ კიდევ ომის წინა წლებში ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა ჩვენი ავიაციის განვითარების ძირითადი მიმართულება: „ვიფრინოთ ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად, ყველაზე მაღლა“. ბელადის ეს მითითება მალე განხორციელდა. ათობით მამაცმა საბჭოთა მფრინავმა, რომელთა შორის დამსახურებული სახელი მოიხვეჭეს ისეთმა შესანიშნავმა ავიატორებმა, როგორიც არიან ჩვენი ეპოქის დიდი მფრინავი ვალერი ჩკალოვი, გრომოვი, სეროვი, ოსიპენკო, რასკოვა, გრიზოდუბოვა და მრავალი სხვა, მოკლე დროში წაართვეს უცხოელ ავიატორებს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საავიაციო რეკორდები.

თავის წარმატებებს საბჭოთა ავიაცია უმადლის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. იგი არის საბჭოთა საჰაერო ფლოტის ტექნიკური პროგრესის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ომამდე დიდი ხნით ადრე ამხანაგმა სტალინმა გამოზარდა ნიჭიერი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორები — პოლიკარპოვი, ტუპოლევი, პეტლიაკოვი, იაკოვლევი, ილიუშინი, ლავოჩკინი, მიკულინი, შვეცოვი და ჩვენი მოწინავე საავიაციო ტექნიკის მრავალი შემქმნელი. ამხანაგმა სტალინმა გამოზარდა საბჭოთა ავიატორების მძლავრი ჩკალოვური თაობა — უდრეკი ნებისყოფისა და მამაცობის, თავისი სამშობლოს მხურვალედ მოსიყვარულე, ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

საბჭოთა საჰაერო ფლოტის ძლიერება მთელი სისრულით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში.

თითქმის მთელი თავიანთი საჰაერო ძალები—19.500 თვითმფრინავი — გადმოისროლეს ჰიტლერელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. და მიუხედავად ამისა, „ბლიცკრიგის“ სრული მარცხი ცხადი გახდა ომის პირველ დღეებშივე, ჩვენმა ავიატორებმა უკვე მოსკოვთან გააცამტვერეს ჰიტლერული ავიაციის უძლეველობის ზღაპარი.

უჭკნობი დიდება მოიპოვეს საბჭოთა ავიატორებმა ისტორიულ ბრძოლაში სტალინგრადთან. ამ ბრძოლის მარტო თავდაცვითს პერიოდში მოსპობილ იქნა გერმანელთა ათასამდე თვითმფრინავი. მტრის დიდი დაჯგუფების გარემოცვისა და განადგურების დროს ჩვენმა ავიაციამ გადამწყვეტი გარდატეხა მოახდინა ჰაერში ბატონობის დასაპყრობად.

დიდ სამამულო ომში გამარჯვება საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, ბოლშევიკური პარტიის ბრძნული პოლიტიკის ახალი ზეიმი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმის ზეიმი იყო. ომმა ცხადყო საბჭოთა არმიის, მისი ავიაციის უძლეველი ძალა. „ჩვენი სამშობლოს სახელოვანმა შევარდნებმა გაავთრებულ საჰაერო ბრძოლებში გაანადგურეს გერმანიის ნაქები ავიაცია, რითაც უზრუნველყვეს მოქმედების თავისუფლება წითელი არმიისათვის და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იხსნეს ჰაერიდან მტრის მიერ დაბომბვისაგან.

მთელ წითელ არმიასთან ერთად ისინი გამანადგურებლად ურტყამდნენ მტერს და სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ჩვენი მამაცი ავიაციის უნარიანი მოქმედება მუდამ უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების წარმატებას და დაეხმარა მტრის საბოლოო განადგურების მიღწევას“ (სტალინი).

გმირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა მთავრობამ ორდენებით დააჯილდოვა 200 ათასზე მეტი ავიატორი. 2.100 მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. საჰაერო ბრძოლების გმირთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ სამგზის საბჭოთა კავშირის გმირებს პოლკოვნიკ ა. პოკრიშკინს, რომელმაც პირადად 59 ფაშისტური თვითმფრინავი ჩამოაგდო, და გვარდიის პოდპოლკოვნიკ ი. კოჟედუბს, რომელმაც მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი მოსპო.

ომის დამთავრების შემდეგ ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს დაუსახეს დიდი და საპატიო ამოცანა— ფხიზლად დაიცვან მოპოვებული მშვიდობა და უშიშროება საბჭოთა ხალხისა, რომელიც დაუბრუნდა შემოქმედებით შრომას. საბჭოთა ავიატორების მთელი ძალები მიმართულია ამ ამოცანის შესასრულებლად.

სამხედრო საქმისა და საავიაციო ტექნიკის განუწყვეტელი განვითარება, რეაქტიული ძრავების, ავტომატიკის, ტელემექანიკის გამოყენება, თვითმფრინავთა ფრენის სიჩქარის, სიშორისა და სიმაღლის გადიდება ახალ მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სამხედრო-საჰაერო ძალებს. საბჭოთა ავიატორები განუწყვეტლივ აუმჯობესებენ თავიანთ საფრენოსნო ოსტატობას, ეუფლებიან თეორიულ მეცნიერებას.

საბჭოთა ხალხი, რომელმაც შექმნა შესანიშნავი თვითმფრინავები, გამოზარდა ფრთოსანი დევგმირების შესანიშნავი თაობა, ყველა ზომას იღებს, რომ თავისი საჰაერო ფლოტი უფრო ძლიერი და მძლავრი გახადოს. ჩვენი ავიაკონსტრუქტორები ავიამრეწველობის მუშაკებთან და ავიატორებთან მჭიდრო თანამშრომლობით წინ სწევენ ჩვენს მოწინავე თვითმფრინავმშენებლობას. ახალი საბრძოლო და სამოქალაქო თვითმფრინავები შექმნეს სტალინური პრემიის ლაურეატებმა ა. ნ. ტუპოლევმა, ს. ვ. ილიუშინმა, ს. ა. ლავოჩკინმა, ა. ს. იაკოვლევმა, ა. ი. მიქოიანმა და სხვ.

დიდი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა სამოქალაქო-საჰაერო ფლოტმაც. ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდება საჰაერო ფლოტის როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. საბჭოთა კავშირში საჰაერო ხაზების საერთო სიგრძემ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო საჰაერო ხაზების სიგრძეს. გაიხსნა ახალი საჰაერო ხაზები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს აკავშირებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან და სხვა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებთან. შექმნილია ხშირი ქსელი ადგილობრივი საჰაერო ხაზებისა, რომლებიც რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების ცენტრებს აკავშირებენ შორეულ რაიონებთან.

უფრო ფართო და მრავალფეროვანი გახდა სამოქალაქო ავიაციის გამოყენება სახალხო მეურნეობაში. ჩვეულებრივი გახდა თვითმფრინავების გამოყენება სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, სასოფლო და სატყეო მეურნეობაში, გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებზე.

სამოქალაქო-საჰაერო ფლოტს ჰყავს მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც თავისი საქმის ოსტატები გახდნენ. მის რიგებში დაახლოებით 300 „მილიონერია“ და რამდენიმე პილოტი, რომლებმაც 2 მილიონზე მეტი კილომეტრი იფრინეს.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში საბჭოთა ავიაციის წარმატებათა პროპაგანდის მხრივ დიდ მუშაობას ეწევა ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება.

საავიაციო სპორტი საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი საქმეა. მთელ საბჭოთა კავშირში შექმნილია მრავალი საავიაციო წრე, ავიამოდელისტთა, პლანერისტთა წრეები. აეროკლუბებს ფართო აქტივი ყავთ, რომლის სული და გული ლენინურ-სტალინური კომკავშირია.

ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელიც მასობრივი ორგანიზაციაა, საავიაციო ცოდნის ფართო პროპაგანდას ეწევა მშრომელებში, ამზადებს მფრინავებს, ავიამექანიკოსებს, პლანერისტებსა და პარაშუტისტებს, ყოველმხრივ ავითარებს პლანერიზმს, პარაშუტიზმს, ავიასამოდელო სპორტს.

ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან აეროკლუბებში, სკოლებში, კურსებზე, წრეებში დაძაბული სწავლა მიმდინარეობს. ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები, მოსწავლე ახალგაზრდობა მტკიცედ ეუფლებიან პარაშუტს, ავიასამოდელო საქმეს, პლანერს, თვითმფრინავს, ფრენის რთულ ოსტატობას. ავიაციის ხელშემწყობი სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ფართო და მრავალმხრივი საქმიანობა განამტკიცებს საბჭოთა საჰაერო ფლოტის ძლიერებას.

საჰაერო ფლოტის დღეს სტალინური ავიაცია ეგებება თავისი ძალისა და ძლიერების შემდგომი აყვავებით.

საბჭოთა ავიატორების ყველა აზრსა და საქმეს ამოძრავებს ყოვლისშძლე საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა, ლენინ-სტალინის იდეათა აღმაფრთოვანებელი ძალა, კეთილშობილური მორალურ-პოლიტიკური თვისებები, რომლებსაც პარტია დაუღალავად უნერგავს ხალხს, ჩვენი შეიარაღებული ძალების მეომრებს.

ჩვენი მფრინავები, შტურმანები; მსროლელები, ჩვენი ტექნიკოსები და მოტორისტები, ჩვენი მეცნიერნი და საავიაციო მრეწველობის მუშაკები კვლავაც მტკიცედ ეცდებიან, რომ საბჭოთა მფრინავები დაფრინავდნენ ყველაზე სწრაფად, ყველაზე შორს და ყველაზე მაღლა. ჩვენი საბჭოთა ავიაცია ემსახურება მშრომელი კაცობრიობის ინტერესებს; იგი დგას მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადარაჯოზე, კომუნიზმის მშენებლობის სადარაჯოზე, რომლის დიდებულ შენობას აგებს ჩვენი ხალხი, გმირი ხალხი, შემოქმედი ხალხი, რომელსაც აღაფრთოვანებს და წინ მიუძღვის ბოლშევიკური პარტია, დიდი სტალინი.

ავიაციის მარშალი კ. ვერშინინი

# სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

გუშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სახლის საზაფხულო პარკში შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. ცხოვრებაშვილი, მ. ლელაშვილი, მ. კაზაკოვი, ა. სოკოლსკი, ე. ჩერქეზია, თ. ქვლივიძე, ი ზოდელავა, ნ. მუსხელიშვილი, ა. კაცნელსონი, ე. ტატანაშვილი, გ. ჯიბლაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივნები.

საზეიმო სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ლელაშვილმა.

სხდომა ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ. მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა ავიაციის მიერ განვლილ ისტორიულ გზებზე, მის როლზე უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლასა და საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დაცვაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა საავიაციო მეცნიერებას ეკუთვნის პრიორიტეტი აეროფრენოსნობის თეორიისა და პრაქტიკის ყველა დარგში.

მომხსენებელი ვრცლად ჩერდება საბჭოთა ავიაციისა და მისი ადამიანების დამსახურებაზე დიდ სამამულო ომში, რომელთაც თავიანთი გულადობითა და მამაცობით ასახელეს საბჭოთა იარაღის ძალა და პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი სოციალისტური სამშობლოს და საბჭოთა ხალხის წინაშე.

— ბოლშევიკური პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი, — ამბობს მომხსენებელი, — მუდამ ზრუნავენ საბჭოთა ავიაციის განვითარებაზე. დიდი სტალინის მზრუნველობისა და ყოველდღიური დახმარების შედეგად საბჭოთა ქვეყანამ შექმნა მძლავრი სამხედრო ავიაცია, გამოზარდა უშიშარი მფრინავი შევარდნები.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება საბჭოთა ავიაციის შემოქმედისა და ორგანიზატორის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

# რესპუბლიკის საჰაერო ტრასებზე

## (საუბარი საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს უფროსთან პოდპოლკოვნიკ გ. მ. ფრუიძესთან)

საჰაერო ფლოტის დღე საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი დღესასწაულია ჩვენს ქვეყანაში. ამ დღეს ხდება სტალინური საავიაციო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საბჭოთა მფრინავების ოსტატობის საყოველთაო სახალხო დათვალიერება.

დღეს ყველა მშრომელთან ერთად თავის ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის კოლექტივიც.

სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე გარდაიქმნა საბჭოთა საქართველო. ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია სამოქალაქო ავიაციის განვითარება. საჭირო გახდა რაიონების სწრაფი და საიმედო დაკავშირება საქართველოს დედაქალაქ თბილისთან, ხოლო თბილისისა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვსა და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებთან.

სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა საქართველოს ავიაცია ამ უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოს ავიაცია უმაგალითო ტემპით იზრდებოდა. მნიშვნელოვნად გადიდდა ავიაგადაზიდვის მოცულობა, საბჭოთა ქარხნებში აგებულმა კომფორტულმა მრავალადგილიანმა თვითმფრინავებმა შესაძლებელი გახადეს, რომ თბილისი მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებს დაკავშირებოდა საიმედო საჰაერო ტრასით.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავები მკერდით იცავდნენ საყვარელ სამშობლოს. ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ ამხანაგები შ. ჭანკოტაძე, პაპუნაშვილი, კაციტაძე, თომაძე, კუჭავა, ჯანელიძე და მრავალი სხვანი.

მაგრამ აი დამთავრდა დიდი სამამულო ომი. მფრინავები კვლავ დაუბრუნდნენ მშვიდობიან შრომას, ისინი კვლავ მიუსხდნენ მშვიდობიანი დროის მანქანების საჭეებს და გაათკეცებული ენერგიით იბრძვიან სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

უკვე ომისშემდგომ პირველ წელსვე საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს კოლექტივმა მკვეთრად გაადიდა სატრანსპორტო პარკის მუშაობის მოცულობა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ავიაგადაზიდვის ომამდელ დონეს. წლითი წლობით გადაჭარბებით ასრულებენ რა საჰაერო გადაზიდვის გეგმებს, ავიაციის მუშაკები ხელს უწყობენ ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ავიაქიმიურ სამუშაოთა გეგმების შესრულების საქმეში. დღეს სპეციალური გამოყენების ავიაციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი კახეთისა და ქართლის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, იგი ეხმარება მევენახეებსა და მებაღეებს იბრძოლონ დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ სოფლის მეურნეობაში, მიიღონ ხილისა და ყურძნის უხვი მოსავალი. თვითმფრინავები დაფრინავენ ჭაობების თავზე და სპეციალური შხამით სპობენ მალარიის კოღოს. ამრიგად, ავიაცია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმესაც ემსახურება.

საწარმოო გეგმის შესრულებისათვის განსაკუთრებული დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მიმდინარე წელს, რომელიც ომისშემდგომ ხუთწლედის დამამთავრებელი წელიწადია. სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით ქვეგანაყოფების კოლექტივებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს შრომაში. შეჯიბრებაში პირველობა სამართლიანად უკავია იმ რაზმის პირად შემადგენლობას, რომლის მეთაურიც არის ამხ. ციგანკოვი; მან ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ჯერ კიდევ 1948 წელს საქართველოს ავიატორებმა ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის ისეთ მოცულობას მიაღწიეს, რომელიც დაგეგმილი იყო 1950 წლისათვის.

სამშობლო უახლეს საავიაციო ტექნიკას აწვდის სამოქალაქო საჰაერო ფლოტს. ჩვენს ტრასებზე უკვე ჩვეულებრივი გახდა საბჭოთა თვითმფრინავი „ილიუშინი—12“, რომელიც მანძილს თბილისიდან მოსკოვამდე 6-7 საათში ჰფარავს. შორს აღარ არის ის დრო, როცა რეისი თბილისი — მოსკოვი და უკან დაბრუნება შესაძლებელი გახდება ერთ დღეღამეში.

საჰაერო ხაზების სიგრძის ზრდასთან, გადაზიდვის მოცულობის გადიდებასთან და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ქვეგანაყოფთა პირველხარისხოვანი მატერიალური ნაწილით აღჭურვასთან ერთად იზრდებიან და იწრთობიან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადამიანებიც. ჩვენი ქვეგანაყოფები სამართლიანად ამაყობენ გამოჩენილ მფრინავთა — ვ. კუჭავას, ი. ვასილიევის, ლ. თალაკვაძის, ზ. ცხოვრებოვის და მრავალ სხვათა სახელებით, რომლებმაც საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს დავალებათა შესრულებაში.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანები დგას. რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სულ უფრო მზარდი დონე მოითხოვს საჰაერო ტრანსპორტის მუშაობის გაძლიერებას, ახალი ხაზების გაყვანასა და მოქმედი ტრასების უფრო მეტად აღჭურვას.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი ავიაციის შემდგომი განვითარებისათვის, უახლესი საბჭოური თვითმფრინავებით ავიაციის აღჭურვისათვის, ავიაციის მუშაკთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ამ უდიდესი ზრუნვის პასუხად საქართველოს ავიატორები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ოთხ წელიწადში გაანაღდონ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალება, მომავალშიც პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

# ჩვენ წურწუმიას აღზრდილნი ვართ

ალექსანდრე წურწუმია მხოლოდ ნახევარ წელიწადს ომობდა. 1941 წლის დეკემბერში დაიღუპა. და მაინც მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია შავი ზღვის ფლოტში. საბჭოთა კავშირის გმირ წურწუმიას და მის აღზრდილ მამაც მფრინავთა გმირობის შესახებ ლაპარაკობენ ხომალდებზე, ლაპარაკობენ საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლები, ფლოტის გამოცდილი და ახალგაზრდა ავიატორები, ლაპარაკობენ იმიტომ, რომ თვით სიტყვები „წურწუმიას აღზრდილნი“ უკვდავი გახდა, და ამ სიტყვებში განხორციელებულია ჰაერის საბჭოთა მეომრების საუკეთესო თვისებები: გმირობა, მტრის დამარცხების უნარი, სიმტკიცე მიზნის მიღწევაში, მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი.

ომის მძიმე თვეებში, როცა ჩვენი ავიაცია იგერიებდა მტრის ჭარბ საჰაერო ძალებს და ისწორებდა მძლავრ ფრთებს, წურწუმიას მეომრებმა, რომლებიც სამშობლომ აღჭურვა იმ დროისათვის საუკეთესო მოპიკირე თვითმფრინავებით „პეტლიაკოვ-2“, თავზარი დასცეს მოწინააღმდეგეს მამაცური დარტყმებით. „პეტლიაკოვები“ ჩნდებოდნენ ყველგან: რუმინეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზის კონსტანცის თავზე, გაშლილ ზღვაში მტრის ხომალდების თავზე, დუნაიზე, ბომბავდნენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს, ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ჰაერიდან ეხმარებოდნენ ოდესის გმირ დამცველებს გერმანელებისა და რუმინელების გაავთრებული იერიშების მოგერიებაში.

წურწუმიელთა ექვსეული მტრის ღრმა ზურგში შეიჭრა და ბომბები დააყარა პლოეშტის ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებს. თუ რა ოსტატური იყო ეს დარტყმა, ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მისი შედეგების მიხედვით: მამაცმა მფრინავებმა მოსპეს 2 ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა, მესამე კი მწყობრიდან გამოიყვანეს, დასწვეს 120 ათას ტონამდე საწვავი ცისტერნებში, საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს 2 ავიაგამანადგურებელი.

წურწუმიას ესკადრილიის მებრძოლებმა სახელი გაითქვეს მთელ ჩვენს ქვეყანაში. და როცა უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები წურწუმიას ესკადრილიის დარტყმების შესახებ, წურწუმიას აღზრდილებს ეწვია ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი.

ალექსანდრე წურწუმიას ერთ-ერთი მოწაფე, ამჟამად გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი, იგონებს თავისი ყოფილი მეთაურის საუბარს უცხოელთან, რომელმაც პირველად ის იკითხა, თუ რამდენი ათეული თვითმფრინავი მონაწილეობდა პლოეშტზე თავდასხმაში.

—თვითმფრინავები საკმარისი იყოო, — თავმდაბლად მიუგო წურწუმიამ, რადგან იცოდა, — ინგლისელი მაინც ვერ გაიგებდა, როგორ მოხდა, რომ მხოლოდ ექვსმა საბჭოთა თვითმფრინავმა შეძლო მტრისთვის ასეთი გამანადგურებელი დარტყმის მიყენება.

ჰაერში რა რთული ვითარებაც უნდა შექმნილიყო, დავალება მაინც უნაკლოდ უნდა შესრულებულიყო, მიუხედავად მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებლების თავდასხმისა, საზენიტო ცეცხლის სიძლიერისა ან ყველაზე ცუდი ამინდისა — ასეთი იყო წურწუმიას აღზრდილთა დევიზი, რომელსაც ისინი ყოველთვის ასრულებდნენ.

ალექსანდრე წურწუმია თავის მოწაფეებს ზრდიდა მგზნებარე ბოლშევიკური სულისკვეთებით, გმირობის პირადი მაგალითით.

ერთხელ, როცა ახალგაზრდა მფრინავს მტრის აეროდრომის დაზვერვა დაავალეს, მან მეთაურთან გულგატეხილად თქვა:

—ამ გაფრენიდან დაბრუნება არ მიწერიაო.

გაფრენა მართლაც ძნელი იყო. აეროდრომი შორს იყო მტრის ზურგში და ძლიერ დაცული იყო ავიაგამანადგურებლებითა და საზენიტო არტილერიით.

წურწუმიამ მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა მფრინავს.

— საჭირო არ არის! მე თვითონ გავფრინდები დასაზვერავად.

წურწუმია აეროდრომს მიადგა ღრუბლების ზემოდან, პიკირებით დაეშვა და იქ მდგომ თვითმფრინავებს ტყვიამფრქვევი დაუშინა. მეთაურმა არა მარტო ჩინებული ფოტოსურათები მოიტანა, არამედ აეროდრომზე ცეცხლი წაუკიდა მტრის ორ თვითმფრინავსაც.

წურწუმიას ამ გაფრენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მფრინავებისათვის. შემდეგში რუსეთის საზღვაო დიდების ქალაქის სევასტოპოლისა და კავკასიის გმირული დაცვის დროს, როცა წურწუმია ცოცხალი აღარ იყო, არც ერთ მფრინავს ეჭვი არ ეპარებოდა თავის ძალებში და მოქმედებდა ისევე თადარიგიანად და გაბედულად, როგორც მათი მეთაური.

ესკადრილია, რომელსაც წურწუმიას სახელი უწოდეს, შესანიშნავ საზღვაო მფრინავ გმირთა აღზრდის ნამდვილ სკოლას წარმოადგენდა. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ისეთი ნიჭიერი მფრინავები, როგორებიც არიან საბჭოთა კავშირის გმირები კორზუნოვი, კონდრაშინი, ლებედევი, ლობოზოვი, ფილატოვი და სხვები.

დიდია წურწუმიას თვითეული აღზრდილის საბრძოლო ანგარიში. ბევრმა მათგანმა მოწინააღმდეგის ერთი ან ორი ათეული და მეტი ხომალდი ჩაძირა, მოსპო გერმანელთა დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

ესკადრილიაში მოსული ახალი შევსება სწრაფად ითვისებდა საბრძოლო ტრადიციებს. ახალგაზრდა მფრინავები, უმცროსი ლეიტენანტები ტარარინი და ბრილიანტოვი მოკლე ხანში დაბომბვის ოსტატები გახდნენ, იმიტომ რომ ლამაზების სიზუსტეს ისინი აერთებდნენ ესკადრილიაში ტრადიციულ მამაცობასა და გმირობასთან.

მალე ტარარინი, ლეიტენანტის წოდებით, სათავეში ჩაუდგა ესკადრილიას. მას თავისი პირადი ანგარიში ჰქონდა გერმანელებთან. იგი შურს იძიებდა ალექსანდრე წურწუმიასთვის, რომელსაც ცოცხალს ვეღარ მოუსწრო, ახალ მეთაურ ანდრია კონდრაშინისათვის, რომელიც ოდესასთან ჩამოაგდეს 1944 წელს, შურს იძიებდა თავისი თანამემამულეებისათვის — კრასნოდონელი გმირებისათვის — ოლეგ კოშევოის, სერგი ტიულენინის, ულიანა გრომოვას, ვანია ტურკენიჩის და ბევრი სხვა ახალგაზრდა გვარდიელისათვის, რომელთა სახელები მისთვის, როგორც მალაროელის შვილისათვის, დაკავშირებული იყო სიყრმის წლების მოგონებებთან. ყირიმის გაწმენდის დროს მფრინავებმა ტარარინის მეთაურობით ჩაძირეს 53 ათასი ტონა წყალწყვის თვრამეტი ტრანსპორტი, რომ აღარ ვიანგარიშოთ მცველი ხომალდები, კარჭაპები და მცირე ზომის გემები.

ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, მაგრამ წურწუმიას საბრძოლო ტრადიციები ცოცხლობენ, უფრო მტკიცდებიან და ფართოვდებიან.

ესკადრილიაში ცოტაღა დარჩა ომის ვეტერანი. ზოგიერთი მათგანი სხვა ქვეგანაყოფშია, მაგრამ ისინი ახალგაზრდობას წურწუმიას ესკადრილიის სახელოვანი ტრადიციებით ზრდიან. აეროდრომის გვერდით, პატარა სკვერში, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ალექსანდრე წურწუმიას ბიუსტთან ქვეგანაყოფის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი უამბობს ახალგაზრდა მფრინავებს მის გმირობაზე.

საღამოვდება. ყაზარმიდან მოისმის მხნე სამწყობრო სიმღერა, რომელიც ავიატორებმა გამოთქვეს წურწუმიას აღზრდილის — გმირ კონდრაშინის შესახებ. ავიატორები წმიდად ინახავენ ალექსანდრე წურწუმიას ხსოვნას. მისი უკვდავი სახე აღაფრთოვანებს მათ ახალ-ახალი წარმატების მოსაპოვებლად საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

კონდრაშინისა და ტარარინის მოწაფემ რგოლის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა კალინინმა, სახელოვან გმირთა ტრადიციების ერთგულმა, თავის ხელქვეითებს ჩაუნერგა წურწუმიას აღზრდილთა ყველა თვისება. მთელმა ამ რგოლმა, ომის გამოცდილების შესწავლით, მოიპოვა საპატიო უფლება იწოდებოდეს წარჩინებულად.

— ჩვენ ხომ წურწუმიას აღზრდილები ვართ, — ამაყად ამბობენ ისინი, — მუდამ წინ ყოფნა ჩვენი ტრადიციული წესია.

დღითიდღე მრავლდება წარჩინებულ მეომართა, სამხედრო საქმის ოსტატთა რიგები.

იყვნენ ისეთივე უშიშარი მებრძოლნი, ისევე მხურვალედ უყვარდეთ თავიანთი სამშობლო, როგორც ალექსანდრე წურწუმიას, ფხიზლად იდგნენ შავი ზღვის ცის სადარაჯოზე, — ამ ციქრით სწავლობენ და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ საზღვაო მფრინავები.

კაპიტანი ვ. პავლუშინი

სევასტოპოლი, 1949 წ. ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პურის უხვი მოსავალი

წითელწყარო. 16 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). წითელწყაროელი კოლმეურნეები წელს პურის უხვ მოსავალს იღებენ. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჰექტარზე 28-30 ცენტნერ პურს იღებენ. ასეა მაგალითად სოფელ ზემოქედისა და ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში, არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში. შირაქის ველზე განუწყვეტლივ მუშაობს 96 კომბაინი. კომბაინერები, ი. მელიქიშვილი, გ. დოლიძე, მ. დარჩიაშვილი მის დღიურ ნორმებს ერთიორად და მეტად ასრულებენ.

მინდვრად უკეთესი სანახაობაა. კალოებზე პურის უზარმაზარი ზვინებია. შეჰყურებთ მას და ნათლად გრძნობთ საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალას, მის სიცოცხლისუნარიანობას.

თავთავიან მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მომკილია 8.000 ჰექტარზე მეტი პური. აქედან ნახევარი მარტო ივლისის მესამე ხუთდღიურში აიღეს. აღსანიშნავია, რომ კომბაინებთან ერთად აქ კარგად იყენებენ მარტივ მანქანებს. 800 ჰექტარზე ხელითაც აიღეს მოსავალი.

დიდი ყურადღება ექცევა პურის დანაკარგებთან ბრძოლას. ამ საქმეში ფართოდ გამოყენებულია მოზარდთა და მოხუცთა შრომა. 16 ივლისამდე ხელით აკრეფილია 90 ტონაზე მეტი თავთავი.

კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. „ზაგოტზერნოს" დამამზადებელი პუნქტებისაკენ განუწყვეტლივ მიედინებიან ხორბლეულით დატვირთული წითელი ქარავნები. ბევრმა კოლმეურნეობამ, მათ შორის სოფელ ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელმა არბოშიკმა", სოფელ გამარჯვების ჟდანოვის, ზემომაჩხაანის და წითელწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" უკვე მთლიანად შეასრულა პურის სავალდებულო ჩაბარების გეგმა და ახლა პურს მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში აბრებენ.

რაიონის კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მიზნად დაისახეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ ორი თვით ადრე შარშანდელთან შედარებით.

# უზრუნველვყოთ კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა

ქართლში გაჩაღდა პურის მკა. მცხეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით მკიან პურს. მოსავლის აღების პირველი დღეები მოწმობენ, რომ სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ახალაშვილი) ნაკლებად ზრუნავენ ამოკასა და თავთავების აკრეფაზე. პირველ ბრიგადას (ხელმძღვანელი შ. ჭავჭავაძე) 49 ჰექტარი ყანა აქვს მომკილი. დანაკარგები იმდენად დიდია, რომ ერთ კვადრატულ მეტრზე დარჩენილია 10-12 თავთავი. მეორე ბრიგადაში 14 ივლისს კომბაინერმა შ. ილიაევმა პურის მკა ისე დაიწყო, რომ ბრიგადირს ლ. ხუროველს ნაკვეთის თავები არ შემოუთიბავს, აკრეფილ ნაკვეთზე ბლომადაა დარჩენილი თავთავები.

სოფელ ძველიქანდას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში შრომა სათანადოდ არ არის მოწესრიგებული. პირველ ბრიგადაში მომუშავე კომბაინერი ს. ბიჭიაშვილი კოლმეურნეობის მიზეზით ხშირად აცდენს კომბაინს. მაგალითად, 14 ივლისს სავსე ბუნკერის დასაცლელად კოლმეურნეობას არ გამოუყვია ურემი, ამიტომ მტს-ის მუშაკები ს. ძაზუაშვილი და ს. რუსიშვილი კომბაინერ ს. ბიჭიაშვილთან ერთად იძულებული გახდნენ ზურგით მიეტანათ კომბაინთან მარცვლის დასაყრელი ყუთი. ამას რატომღაც კოლმეურნეობის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს.

ამ კოლმეურნეობაში მრავალია ისეთი კოლმეურნე, რომელიც არ იღებს მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, ნინო მიხაილოვას, მარო აბრამოვას, ხავა რევაზოვას, ლია სარქისოვას, სარა საიადოვას წელს არც ერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული. შრომის დისციპლინის საკითხი პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. კოლმეურნეობაში მოუწყობელია კალო, არ გააჩნიათ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი.

მცხეთის მტს-ის კომბაინერი შ. ილიაევი ტექნიკური მიზეზების გამო ხშირად საშუალოდ დღეში სამიოთხი საათის განმავლობაში აჩერებს კომბაინს. ამის გამო იგი დღიურ ნორმას ვერ ასრულებს. კომბაინერი კ. სოხაშვილი უხარისხოდ იღებს პურეულს. 13 ივლისს კომბაინს ორი ღერძი გაუფუჭდა. ამის გამო მოსავლის დღიური დავალება სანახევროდაც ვერ შესრულდა. ასე მოხდა 15 ივლისსაც.

ცუდად აქვთ მოწყობილი შრომა აგრეთვე მუხრანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობას. აქ მკელებს თან არ აყოლებენ თავთავის მკრეფავებს. კომბაინერი ამხ. დოროხოვი პურს მაღალზე იღებს, არ ახდენენ მიღებული მოსავლის აღრიცხვას რგოლების მიხედვით. მაგალითად, 15 ივლისს აქ პირველი და მეოთხე რგოლიდან მიღებული მოსავალი ერთად აწონეს, შემდეგ გაყვეს შუაზე და თვითეულს თანასწორად დაუწერეს მიღებული მოსავლის რაოდენობა, არა აქვთ მოწყობილი მარცვლეულის საველე საშრობი.

ზოგან სრული დატვირთვით არ იყენებენ მარტივ მანქანებს, სოფელ ნატახტარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მ. მამუჩოვს სამკელი მანქანის გაულესავობის გამო 50 პროცენტი თავთავი აუღებელი რჩება.

დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები მოსავლის აღებაში, პირველი განალეწი პურით შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულება.

**შ. ჭოჭუა**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# ერ. ქარელიშვილი—„ნიკო ლომოური"

(მონოგრაფია, საგლიტგამი, თბილისი 1948 წ.)

ნიკო ლომოური ქართველი მკითხველის საყვარელი მწერალია. ნიკო ლომოურის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დღემდე არ მოგვეპოვებოდა სერიოზული კრიტიკული ნაშრომი. ერ. ქარელიშვილის მონოგრაფიული ნარკვევი ამ ხარვეზის შევსების პირველი ცდაა. ავტორი მთელი შრომის 220 გვერდის მანძილზე მხატვრული თხრობის ჟანრით, სადა მეტყველებითა და სათანადო არგუმენტაციით თანმიმდევრულად აცნობს მკითხველს მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებითს ბიოგრაფიას.

მონოგრაფია იწყება მწერლის სოფლის — არბოს აღწერით, ავტორი გვაცნობს მწერლის მშობლებსა და ბავშვობას, მისი სწავლის დაწყების ხანას და გორის სასულიერო სასწავლებელში ყოფნას.

შემდეგ მონოგრაფიაში ფართოდ არის მოთხრობილი ნიკო ლომოურის სწავლის შესახებ თბილისის სასულიერო სემინარიასა და კიევის სასულიერო აკადემიაში. კიევის აკადემიაში მწერალი ხარბად დაეწაფა ისტორიულ, ფილოსოფიურ, მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას. აქვე დაწერა თავისი პირველი მოთხრობა „ალი".

მონოგრაფიის მომდევნო თავებში გაშუქებულია ნ. ლომოურის დაბრუნება სამშობლოში, მისი საზოგადოებრივ და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა სახალხო განათლების სარბიელზე, მწერლის უკანასკნელი წლები, გარდაცვალება (1915 წ.) და დაკრძალვა. ნიჭიერმა ბელეტრისტმა ნ. ლომოურმა 62 წელი იცოცხლა. აქედან 35 წელი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გაატარა. მისი უანგარო საქმენი და უზადო სამსახური მშობლიური ხალხისადმი სრულ უფლებას აძლევდა მის თანამემამულეთ ხმამაღლა ეთქვათ: „სამშობლოს ცას კვლავ მოსწყდა ერთი ვარსკვლავი, მაგრამ ამ ვარსკვლავმა უხვად გაჰფანტა თავისი სხივები ხალხში და ისინი მის სასახელოდ იციმციმებენ საუკუნოდ".

მონოგრაფიის მეორე ვრცელი ნაწილი მიძღვნილია ნ. ლომოურის მხატვრული შემოქმედების გარჩევისადმი. რომლის უმთავრესი და ძირითადი საკითხებია: მწერლის ძიების ხანა, ფართო გზაზე გამოსვლა, მისი ენა და პეიზაჟი და, ბოლოს, ნ. ლომოური — საბავშვო მწერალი და პედაგოგი.

„ქაჯანასა" და „ალის" ავტორმა შემოქმედებითი ძალა პირველად ლექსებში სცადა. მისი ლექსები: „ყინვა და პატარა მოწაფე" და „ვედრება პატარა გლეხისა" თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებშიც შეიტანა. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა „დროებაში", „ივერიასა" და „მნათობში", თუმცა მომავალი ბელეტრისტი თვითონვე ატყობდა, რომ ჯერ კიდევ ვერ მიეგნო თავისი შემოქმედებითი პოტენციის შესაფერი ჟანრისათვის.

მონოგრაფიის ავტორი ნიკო ლომოურის გადასვლას პოეზიიდან პროზაში სრულიად სამართლიანად უკავშირებს აკაკის სახელს. „შენს ლექსებში პოეზია ძლიერ მცირეა, აბა პროზა სცადეო" — ეთქვა დიდ პოეტს ნიკოსათვის და მასაც პროზაში უცდია თავისი კალამი, რომლის ბრწყინვალე გამარჯვება იყო 1879 წელს გამოქვეყნებული მოთხრობა „ალი". მას მოჰყვნენ შესანიშნავი მოთხრობები: „ქაჯანა", „პაწია მეგობრები", „ბედი უბედურთა", „გიგო ღრუბელაშვილი", „ქრისტიანი ლეკები", „წუთისოფელი", „წინაპართა აჩრდილი", „ხერხი სჯობია ღონესა" და ერთიც ჯერ გამოუქვეყნებელი რომანი „სამძიმარი" (დაცულია ლიტ. მუზეუმში), რომლის დამთავრება მწერალმა ვერ მოასწრო.

სარეცენზიო ნაშრომში ფართოდ არის მიმოხილული ნ. ლომოურის ხალხოსნური საქმიანობა. ნიკო ლომოური გულმხურვალედ ესარჩლებოდა მშრომელ გლეხობას, „ცდილობდა ნათლად დაენახვებინა მისთვის თავისი უძლურებისა და გაჭირვების ობიექტური და სუბიექტური მიზეზები". მის მოთხრობებში გარკვევით ჩანს ავტორის მოქმედების მორალური კონცეფცია, მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა რელიგიური ცრუმორწმუნეობის, ძველი პატრიარქალური ზნე-ჩვეულებისა და კულტურული ჩამორჩენილობის მავნე შედეგებზე.

ერ. ქარელიშვილს საკმაოდ ფართოდ, საინტერესოდ და დამაჯერებლად აქვს გარჩეული ნ. ლომოურის მდიდარი სამწერლო ენა, ხოლო ნ. ლომოურზე, როგორც პეიზაჟისტზე, ქარელიშვილი სრულიად სამართლიანად ამბობს: „ნ. ლომოურის შემოქმედების შთაგონებას წარმართავს ადამიანი, მის ბედზე ფიქრი და არა მხოლოდ ბუნება, პეიზაჟი".

დიდი სიყვარულით, გულთბილობითა და დაკვირვებით აქვს ავტორს დახასიათებული ნიკო ლომოური, როგორც საბავშვო მწერალი და პედაგოგი. აქ იგი დაწვრილებით აშუქებს ნიკოს დამოკიდებულებას ბავშვებთან, მის საყვარელ მოსწავლეებთან და მის დიდ მასწავლებელ იაკობ გოგებაშვილთან, რომელსაც ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ მოსცილებია, როგორც თანამებრძოლი და თანამშრომელი ყოველი ახალი სახელმძღვანელოს შედგენაში, შევსება-შესწორებასა და გამოცემაში.

წიგნში კარგად არის გაშუქებული ნიკოს საბავშვო ნაწერების ღირსება და მათი პოპულარობის მიზეზები. აქვეა წარმოდგენილი ნიკო, როგორც საუკეთესო აღმზრდელი — პედაგოგი, შეგირდთა საყვარელი მასწავლებელი და ეროვნული სახალხო განათლებისათვის ენერგიული მებრძოლი, რომელმაც იაკობ გოგებაშვილთან ერთად საგრძნობლად წასწია წინ მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხი.

ერ. ქარელიშვილის წიგნი უდავოდ ღირსეული საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის ნიკო ლომოურის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად.

**ს. ჯაყელი**

გიორგი ლეონიძე

# ჩართულია უკვე დენი!

ელექტროსადგურის გახსნა სოფელ პატარძეულში

იორიდან ამოფრენილს,
ხალხი ელის ოქროს გედსა,
მოფრინდება და მთელ სოფელს,
გადმოაფენს ოქრომკედსა!

ხალხი დგას და განაბული
შუქს მოელის შრომის ხვედრად,
თითქოს მოდის გაზაფხული
მას უცდიან შესახვედრად...

* * *

მე სოფელი ძველებური,
წამით ისევ დავინახე, —
შერუჯული, შეკომლილი,
შებოლილი მისი სახე.

ვიგონებდი ზამთრის ღამეს, —
კერის ცეცხლთან ჯარას ტრიალს,
ჩხირ-წინდათი ხელში დედას
და ბებიას თითისტრიანს.

სანთლის ღვენთი პარპალებდა
შავ ხატის წინ მოხამხამე,
ღამე იწვა სამშობლოზე,
ქართლს უჭერდა ყელში ღამე.

* * *

— ჰეი, სად ხართ, თქვენმა გულმა,
რომ ვერასდროს გაიხარა!
თქვენს დახეულ ქალამნებში
შავი მიწა ჩაიყარა!

თვალს ითხრიდით, გულს ითხრიდით,
სულ მზე გქონდათ საძებნელი;
დაღალულნო, დაღარულნო,
ვერ გაკაფეთ სახრით ბნელი!

წამოდექით,
მუხლჩახრილნო,
დაჩოქილნო, ქვეითებო!
დაავრძელეთ ფარტენები
ბებიებო, დეიდებო!
მეხრეებო, ნათლის გუთნით,
გაიარეთ ქართლის მიწა! —
თქვენ რომ ოფლით ამოგიწვავთ!

* * *

იორიდან ამოფრენილს,
ხალხი ელის ოქროს გედსა,
მოფრინდება და მთელ სოფელს
გადმოაფენს ოქრომკედსა!..
.. და შეეფრქვა სოფელს უცებ,
შინდის ყვითელ ყვავილფერი,
ბოძზე შეჯდა ვარდის ჩიტი,
ფრთით გააპო ღამის ფსკერი,
აჩახჩახდა, აბდღვრიალდა,
მოლაღური, ოქროს თვალი,
— მიდექ, მოდექ შუაღამევ,
არ გეგონო შუქი მთვარის!

— მოდი, გული მზით ამივსე,
შავწყვდიადი გადაღუპე!
მწკრივ ნათურებს მისძახოდა,
ორღობეთა ბნელი უბე.

— ციცნათელის ფანცქალს ვდევდი,
ვარსკვლავთ კამკამს სამოწყალოს,
ახლა ჩემთვის ამჩქეფარდი,
შე მზის წყარო,
სხივცინცხალო!
ალფრინველო, ფრთაცეცხლურო,
ამობუგე ღამის ფსკერი,
სალამი შენს მობძანებას,
ღამე გახდა ნარგიზფერი,
გული გახდა ვარდისფერი,
სახლი გახდა ნათლისფერი!
სალამი შენს მობრძანებას,
გაგვახარე შემოფრენით!

* * *

— ჩართულია უკვე დენი!
მიულოცავს დედა შვილებს...
თავმჯდომარე მდივანს კოცნის,
ეღიმება კომკავშირელს.
— ხმელეთს დახნავს ტრაქტორისტი,
რა მთებს დადგამს მეწინქვილე!
მათი საქმე ხვალის იქით,
თემს და სოფელს გააკვირვებს.
— აგვისრულდა საწადელი
ათასი წლის სანატრელი:
დე, ნათელში გაბარაქდეს, —
ხვნა, მკა, თიბვა, ლეწვა, რთველი!
სამუდამოდ გაიგავოს,
ძველი სოფლის სევდის მტვერი!

— ჩართულია უკვე დენი!
ცხრაჯერ თოფი დაიცალა!
და სოფელმა უცებ იგრძნო,
ნაომარი აზრის ძალა, —
ლენინის მზემ უეცარად,
მისი სახე გამოცვალა!
იგრძნო ხალხმა სითბო მისი,
ლვაწლი მისი ნიშხიულად,
კვლავ დარწმუნდა, რომ ნათელ გზად,
ლენინის გზა მიჩნეულა!

* * *

ბერი პაპა დოინჯით დგას,
კვესაბედი ახსოვს, ტალი,
— ახლა დატკბა ჩემი თვალი,
ვენაცვალე ჩვენ შვილს სტალინს!
დაყრილია ვარდი ლალად,
შავი ღამე გადილალა!
ძველს თუ ვინმე, სადმე იცავს,
გადუხერხავ გულის ფიცარს!
ხალხო, მე ვარ მასპინძელი,
სუფრის მშლელი, ქვევრის მხდელი!
შევიქენი სწორმხედველი!

* * *

ოთხმოცი წლის მაგდა ბებო,
იხვეწება გულდამწველად:
— კვარზე გაზრდილს დამანახვეთ!
რაც ოცნება იყო ძველად!
ძველ ცხოვრებას მზის გამქრობელს,
შავსევდიანს, მე ვემდური;
მან ქალობა დამილამა,
შემიჭვარტლა ჭრაქის მურით!

— შეგესწარი, დაგინახე,
შარავანდი, შუქურ-შინდი!
შემოფრინდი ჩემს ბინაში,
გამინათე თვალის ბინდი!

* * *

გამოვიდა შარიშურით,
ფერხულს უვლის დანიშნული...
წყაროსავით დადიოდა,
აჰყვებოდა ცხელი ტაში,
თვალები აქვს მერცხლიანი,
ნაკვერცხალი ჰქვესავს თვალში...

* * *

— ჩართულია უკვე დენი!
სოფლის თავზე იწყებს დენას...
გოგებაშვილს
უზის ბავშვი,
ჩასტკბობია „დედა-ენა"-ს.
ალივლივდა შუქზე წიგნი,
ზედ „ია"-ზე იკოკრება,
— სხივი მასზედ ანთებული
არასოდეს არ გაქრება!
საამაყო, საყვარელ წიგნს, —
სტალინის ტომს ჩასცქერს მამა;
დედა შოთას ლექსს კითხულობს,
სიტყვამ თაფლი გადმონამა.

* * *

აქ წარსული დაიმალა,
ვით ბღვერია ბუ ნანგრევში,
სოფელს ნათელგადაფენილს
ვხედავ სხივთა მინანქრებში!
ვხედავ მზემ შიგ დაიბუდა,
ვხედავ, ნათლის დაბადებას!
შეემატა ხალხს მზის ღონე,
ისმის ირგვლივ ღაღადება:
— შრომის, ძმობის ნათელს ვაშა!
აჩახჩახა სოფლის ღამე!
მზის თვალი და ნათლის ჩქერი
ჩვენს შრომაში იკამკამებს!

შორს ჩანჩქრები გრიალებენ
შხეფით მთასა მყვირალები,
ჩემი ქვეყნის ღიმილს ვხედავ,
ვარდულ შუქის ბრწყინვალებით.

— ჩართულია უკვე დენი!
სოფელს დასდის ნათლის თქეში,
ჩართულია ღამე დღეში...
— გაუმარჯოს ჩემ ხალხს ძლიერს,
სიხარულსა, სიცოცხლეში!..

სოფელი პატარძეული.

# მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის

ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღე მიმდინარე წელს აღინიშნება საბჭოთა ხალხის მიერ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურა და სპორტი მშრომელთა ფიზიკური და სულიერი განმტკიცების შესანიშნავი საშუალებაა.

ჯერ კიდევ 1930 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე ი. ბ. სტალინმა ამოცანად დაგვისახა: „აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელსაც ექნება იმის უნარი, რომ სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან".

დიდი სტალინის ეს მითითება დაედო საფუძვლად მილიონობით მშრომელთა ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციას, საბჭოთა ადამიანების მხნეობის, დისციპლინის, შეჯიბრებისა და კოლექტივიზმის სულისკვეთების, ძალის, გამბედაობისა და ამტანიანობის განვითარებას.

საქართველოში ფიზიკურ კულტურას და სპორტს უძველესი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე წარმატებით იცავდა თავის დამოუკიდებლობას გარეშე მტრების თავდასხმებისაგან, რისთვისაც შემოღებული იყო ახალგაზრდა მეომრების გაწრთვნა სპორტის ისეთ სახეებში, როგორიც არის ფარიკაობა, ჭიდაობა, ჩოგანბურთი, ლელო, ისინდი, ყაბახი, მარულა, ნიშანში სროლა და ნაციონალური სპორტის სხვა სახეები, რომელთაც დღესაც ქართველი ხალხი დიდი ინტერესით მისდევს.

საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში სპორტის ისეთ სახეებში, როგორიცაა ფალათბურთი, ჭიდაობა, მძლეოსნობა და სხვ. ქართველი სპორტსმენები იცავენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

საბჭოთა ხალხმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 27 დეკემბრის დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ მიიღო როგორც ახალი გამოვლინება ბოლშევიკური პარტიის, პირადად ამხანაგ სტალინის უდიდესი მზრუნველობისა საბჭოთა ადამიანების სულიერი და ფიზიკური განვითარების, მშრომელთა ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში მთავარ ამოცანას წარმოადგენს ფიზკულტურული მუშაობის დონის ამაღლება და საბჭოთა სპორტსმენების მიერ სპორტის ძირითად სახეებში უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივების ყოველდღიური მუშაობის პროგრამაა.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე და სიტყვაში საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე დაგვისახა საბრძოლო ამოცანები საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ მითითებათა საფუძველზე საქართველოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მოკლე დროის მანძილზე შესამჩნევი მუშაობა ჩატარდა. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხები ბევრი რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა. რიცხობრივად და ხარისხობრივად გაიზარდა ძირეული სპორტული კოლექტივები, რომლებშიც ჩაბმულია 250.000-ზე მეტი ფიზკულტურელი ჭაბუკი და ქალიშვილი. გაიზარდა თანრიგოსანთა და ოსტატთა რიცხვი, რომელნიც წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს ამჟამად 60-ზე მეტი მსოფლიო რეკორდი და ზეღწევა ეკუთვნით, რომელთა შორისაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს: ნ. დუმბაძეს, კ. კობერიძეს, ა. ჯორჯაძის, ე. გოკიელს, სპორტის ოსტატებს: ლ. სანაძეს, მ. გორგასლიძეს, გ. ხანუკაშვილს, ვ. მაჩკალიანს, შ. ჩიხლაძეს, ა. მეკოკიშვილს, ა. ციმაკურიძეს და სხვებს.

დიდ წარმატებას მიაღწიეს წელს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა. სპორტის ახალგაზრდა ოსტატმა რ. ჩიგოშკიანმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ორი ხელით სიმძიმეების ატაცში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელები მოიპოვეს ღერძზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჯორჯაძემ, და ჭიდაობაში სპორტის ოსტატებმა მ. ჩიხლაძემ, მ. ნოზაძემ და ა. ციმაკურიძემ. კარგი შედეგები უჩვენეს ე. გოკიელმა, ნ. ხნიკინამ, ლ. სანაძემ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ჩვენი ფიზკულტურულ - სპორტული კოლექტივების საგრძნობ ნაწილს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებთ. ამ მხრივ აღსანიშნავია სპორტულ საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო, რომლის ფეხბურთის გუნდიც წელს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში გაცილებით სუსტად გამოდის, ვიდრე წინა წლებში. „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა შეისწავლოს გუნდის წარუმატებლობის მიზეზები და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩაბმულ იქნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უმრავლესობა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მაქსიმალური მუშაობა უნდა გაიშალოს ნიშნოსნების „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" მომზადებისათვის. მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით საქართველოში უნდა მომზადდეს 90 ათასზე მეტი ნიშნოსანი. ფიზკულტურული ორგანიზაციების უმრავლესობა ამ ამოცანას წარმატებით ასრულებს. „მშთ" ნიშნოსნების მომზადებაში ჩამორჩებიან სამხრეთ ოსეთი, თეთრიწყაროს, მაიაკოვსკის, წითელი წყაროსა და თიანეთის რაიონები.

არის მთელი რიგი რაიონები და საწარმო-დაწესებულებანი, რომლებიც დღემდე სათანადოდ ვერ აფასებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. სპორტის ნაციონალური სახეები, რომელთაც მოსახლეობა დიდი ინტერესით და მონდომებით ეტანება, ბევრ რაიონში ვერ არის სათანადოდ განვითარებული. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად „ლელოს" რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ერთი და იგივე რაიონები იღებენ მონაწილეობას. მაიაკოვსკის, საჩხერის და ლანჩხუთის რაიონებს დღემდე არა ჰყავთ ასეთი გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია საქმის მცოდნე და გამოცდილი ფიზკულტურის მასწავლებლებით, რომელთაც აღზრდიათ მრავალი ჩემპიონი და სპორტის ოსტატი. ახალგაზრდა მწვრთნელებმა და მასწავლებლებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ისეთი მწვრთნელების და მასწავლებლების მდიდარი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში, როგორიც არიან: გ. ეგნატაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. ჩიკვაიძე, დ. ჩიკვაიძე, ბ. დიაჩკოვი, გ. მერკვილაძე, გ. ცხვედაძე, ნ. პეიფარიანი, გ. რცხილაძე, გ. ბაპილოძე და სხვები.

საქართველოს ფიზკულტურელებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ სანიმუშოდ მოაწყონ მუშაობა, ურყევად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შესახებ. ჩვენმა ფიზკულტურელებმა პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობას უნდა უპასუხონ ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობით, სპორტის სხვადასხვა სახეებში საკავშირო და მსოფლიო რეკორდების მოპოვებით.

**ლ. ლუდუშაური**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ფიზკულტურისა და სპორტის სექტორის გამგე

# თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ექიმთა კონფერენცია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებისა და მუდმივი კომისიის ინიციატივით ჩატარდა რაიონის ექიმთა კონფერენცია. კონფერენციას 150-ზე მეტი კაცი ესწრებოდა.

— ჩვენი რაიონის მშრომელები, — განაცხადა ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ექიმმა ა. ლვამიჩავამ, — ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა — თვითეული სამედიცინო მუშაკის ღირსებისა და სახელის საქმეა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე რაიონის მედიცინის დარგის მუშაკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს. მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ინფექციური დაავადებანი, გაუმჯობესდა სანიტარული კულტურის დაცვის საქმე. მუდმივმა კომისიამ შეისწავლა მრავალი საჭირბოროტო საკითხი და სათანადო ზომების მისაღებად დააყენა აღმასკომის სხდომებზე, მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად მუდმივი კომისიის წევრები სათანადო მუშაობას ეწეოდნენ. მოსახლეობაში სისტემატურად იმართება მოხსენებები, ლექციები და საუბრები საინტერესო თემებზე.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. შ. გურამიშვილი.

სიტყვით გამოსული რაიონული საბჭოს დეპუტატი პროფესორი ვ. თოხაძე შეეხო ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის აქტუალურ საკითხებს. მან აგრეთვე ილაპარაკა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების და მუდმივი კომისიის ნაყოფიერი მუშაობის შესახებ, მიუთითა ნაკლოვანებებზეც.

ექიმმა თ. კობახიძემ დამსწრეთ მოუთხრო მე-9 პოლიკლინიკის კოლექტივის მუშაობაზე ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ, აგრეთვე მოწინავე ექიმების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ექიმები ი. გოგიტიძე, გ. წურწუმია, ა. ხეროდინაშვილი და სხვ.

ექიმთა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნები ამხ. ნ. ჟვანია, ე. მაისურაძე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ბარკალაია, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. გურბელაძე და სხვ.

ექიმთა კონფერენციამ მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის სათანადო ღონისძიებანი დასახა.

## ინგლისის მემარჯვენე პროფკავშირული მოღვაწეები კაპიტალისტებს იცავენ

[illegible]

... რომელიც ჰგონის მეტისმეტად დიდ კომპენსაციას, რასაც მრეწველობის ნაციონალიზებული დარგების ყოფილ მფლობელთ უხდიან, და მოუწოდებს მთავრობას გადაჭრით შეამციროს კომპენსაციის თანხა. რეზოლუციის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემულ იქნა ხმის თანაბარი რაოდენობა (320 სასარგებლოდ და 320 წინააღმდეგ).

პრეზიდიუმის წევრთაგან რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა პროფკავშირის გენერალური მდივნის თანაშემწემ ტიფინმა. კონფერენციის თავმჯდომარემ ფრაიერმა უარი თქვა დაეკმაყოფილებინა ხმის ხელახალი დათვლის დაჟინებითი მოთხოვნა და გამოაცხადა, რეზოლუცია მიღებული არ არისო.

ატმოსფერო კიდევ უფრო დაიძაბა იმ რეზოლუციის განხილვის დროს, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამს მრეწველობის ნაციონალიზებული დარგების სამმართველოთა შემადგენლობის გამო და მოითხოვს ამ სამმართველოებში პროფკავშირების წარმომადგენლები დაინიშნონ ისე, რომ პროფკავშირების წევრებს უფლება მიეცეთ გაიწვიონ ეს წარმომადგენლები, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ.

პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა დიკინმა მოითხოვა ამ რეზოლუციის უარყოფა.

მაგრამ რეზოლუცია მიღებულ იქნა ხმის მნიშვნელოვანი უმრავლესობით, 433 ხმით 170 ხმის წინააღმდეგ.

## მდგომარეობა ლონდონის ნავსადგურში

**ლონდონი,** 15 ივლისი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, ლონდონის ნავსადგურში მომხდარი კონფლიქტის გამო ამჟამად არ მუშაობს 14.400 დოკერი.

## საგანგებო წესები მელბურნში

**პარიზი,** 15 ივლისი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, ვიქტორიის შტატის მთავრობამ ავსტრალიაში დღეს საგანგებო წესები გამოაცხადა მელბურნსა და იმ პუნქტებში, რომლებიც მდებარეობენ ქალაქიდან 92-მდე კილომეტრზე. საგანგებო წესები გამოცხადებულია 15 დღის ვადით.

## იტალიელ მშრომელთა მისალმება პალმირო ტოლიატისადმი

**რომი,** 15 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, 14 ივლისს, იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ პალმირო ტოლიატიზე თავდასხმის წლისთავის დღეს, იტალიის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა მშრომელთა მრავალმა დელეგაციამ ინახულა კომუნისტური პარტიის მდივანი, რათა პირადად მისალმებოდა და თავისი ორგანიზაციის მისალმება გადაეცა მისთვის. პალმირო ტოლიატისადმი სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად კომპარტიის ხელმძღვანელების სახელზე იტალიის ყველა კუთხიდან სხვადასხვა საჩუქარი მოდის კომუნისტებისა და მშრომელებისაგან.

## საგაფიცვო მოძრაობა იტალიაში

**რომი,** 15 ივლისი. (საკდესი). როგორც იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კომუნიკე იუწყება, გუშინ მშენებელ მუშათა გაფიცვა გავრცელდა რომის პროვინციასა და მარკეს ოლქში. 18 ივლისს მშენებელ მუშათა გაფიცვა გამოცხადდება აპულიაში, კალაბრიაში, ლუკანიაში, უმბრიაში, ამბრუცო ე მოლიზეში, ხოლო 19 ივლისს კამპანიაში, ლაციოში, სიცილიაში, სარდინიასა და ვენეტოში.

**რომი,** 14 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, იტალიელ მელითონეთა 24 საათიანი დემონსტრაციული გაფიცვის შედეგად, რაც 12 ივლისს გაიმართა მთელ იტალიაში, მეწარმეები დათანხმდნენ მოლაპარაკება განაახლონ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ.

## პოლ რობსონს დევნიან ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ვაშინგტონი,** 15 ივლისი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევმა კომისიამ 13 ივლისს დაიწყო სპეციალური სხდომები ამერიკელი ზანგების ლოიალობის საკითხზე და ცდილობს გააქარწყლოს შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება, რაც მოახდინა პოლ რობსონის განცხადებამ, რომ ზანგი ხალხი უარყოფს იმპერიალისტების ცდას ჩაითრიონ იგი ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კომისია გულმოდგინედ მოემზადა ფართო პროპაგანდისტული კამპანიისათვის (განზრახული იყო მოეწყოთ სპეციალური რადიო და ტელეგადაცემა და სხვ.), მან სრული მარცხი განიცადა, რადგან ცნობილ ზანგთაგან არავინ გამოცხადდა კომისიაში, რათა პოლ რობსონის წინააღმდეგ გაელაშქრნა.

მთავარ „მოხალისე" მოწმედ უნდა გამოსულიყო ცნობილი სპორტსმენი, მძლეოსანი, ბეისბოლისტი და მოცურავე ჯეკი რობინსონი, მაგრამ უკანასკნელ მომენტში რობინსონმა „გადასდო" კომისიაში გამოცხადება.

კომისიის სხდომების წინააღმდეგ პროტესტები მიიღო თვითონ კომისიამ.

„ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობმა ეროვნულმა ასოციაციამ" წერილი გაუგზავნა კომისიას და აცხადებს, რომ ამ სხდომების მოწყობა სრულიადაც არ არის გამოწვეული აუცილებლობით, რადგან „ზანგის ლოიალობას ამერიკის მიმართ ეჭვი არასოდეს გამოუწვევია".

„აფრიკის საქმეთა საბჭომ", რომლის თავმჯდომარეც არის რობსონი, განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია ცდილობს სახელი გაუტეხოს რობსონს იმისათვის, რომ რობსონი ილაშქრებს ზანგების დისკრიმინაციაზე დამყარებულ ყოველგვარ მეორე ხარისხოვან ამერიკანიზმის წინააღმდეგ და უარს ამბობს აღიაროს იგი... ამ სხდომების მოწყობით კომისია ცდილობს ჩაახშოს ზანგი ხალხის, ორგანიზებული მუშათა მოძრაობის მიმართ, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა სამოქალაქო თავისუფლებათა მიმართ მთავრობის გამცემლური პოლიტიკის კრიტიკა, კრიტიკა ცივი ომის საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც მოჰყვება დახმარება იმპერიალისტებისა და ფაშისტური რეჟიმებისადმი მთელ მსოფლიოში, შემდგომი კოლონიური ბატონობა აფრიკისა და სხვა ადგილების ჩაგრულ ხალხთა ექსპლოატაციის გაძლიერება. კომისიას და ძლიერ ძალებს, რომლებსაც ეს კომისია ეყრდნობა, სურთ რომ ზანგმა ხალხმა უსიტყვოდ და ავტომატურად მიიღოს მთავრობის ახლანდელი ორპარტიული პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, თუ რა კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. ისინი მხოლოდ ამას მიიჩნევდნენ „ლოიალობად".

პრესა იუწყება, რომ რობინსონმა მთელი რიგი წერილები მიიღო, რომელთა ავტორები დაჟინებით მოითხოვენ, რომ იგი კომისიაში არ გამოცხადდეს.

## ზანგის ლინჩების ახალი შემთხვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 16 ივლისი. (საკდესი). ზანგთა გაზეთი „ჩიკაგო დეფენდერი" იუწყება ახალ შემთხვევას, რომ ბრბომ თვითნებურად მოკლა ზანგი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჰიუსტონიდან (მისისიპის შტატი) მიღებულ ცნობაში გაზეთი წერს, რომ ფერმერი ზანგი მალკოლმ რაიტი მოკლა სამმა თეთრკანიანმა მისი ცოლისა და ოთხი შვილის თვალწინ. რაიტის ცოლის სიტყვით, იმ დროს, როცა რაიტს ურიკა მიჰყავდა ქალაქში, ავტომობილით მიმავალი სამი თეთრკანიანი აუხირდა მას, შარი მოსდო, თითქოს იგი ხელს უშლიდა მიმოსვლას. მათ რამდენჯერმე დაჰკრეს რაიტს რკინა. ცემის შედეგად რაიტი გარდაიცვალა.

## ამერიკის ესკადრის მომავალი მანევრები კუნძულ კრეტის რაიონში

**ათენი,** 15 ივლისი. (საკდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, დღეს სუდის (კრეტა) ყურეში ჩადის ამერიკის მე-6 სამხედრო-საზღვაო ესკადრა 18 ხომალდის შემადგენლობით, მათ შორის არის 2 კრეისერი — „ფარგო" და „ჯუნსო", ავიოსანი „კორალსი", 8 საესკადრო ნაღმოსანი და დამხმარე გემები. ესკადრა კრეტის წყლებში დარჩება 20 ივლისამდე და იქ მანევრებს გამართავს დღისით და ღამით, გადასხამს დესანტს საზღვაო ქვეითი ჯარის მონაწილეობით და მოაწყობს კუნძულ პონდიკონისის სასწავლო დაბომბვას.

## რეპრესიები ავსტრალიელ მაღაროელთა ხელმძღვანელების წინააღმდეგ

**სიდნეი,** 15 ივლისი. (საკდესი). გუშინ სიდნეის საარბიტრაჟო სასამართლომ მაღაროელთა პროფკავშირის კიდევ ორ ხელმძღვანელს თითო წლის პატიმრობა მიუსაჯა „სასამართლოს შეურაცხყოფის" ბრალდების გამო. ერთ-ერთმა მსჯავრდადებულმა — ავსტრალიის მაღაროელთა პროფკავშირების ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელმა პარკისონმა სასამართლოში განაცხადა, 24 ათასი მეშახტე „ვერ მიმხვდარა, თუ რატომ წარსდგნენ მათი ლიდერები საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე და რატომ იქნა შემოღებული პროფკავშირული სახსრების გაყინვის კანონი, მაშინ როცა შახტის მფლობელთა სახსრები გაყინული არ არის". შემდეგ პარკისონმა განაცხადა, რომ მთავრობის კანონი, რომელიც მიმართულია გაფიცვების წინააღმდეგ, „პანიკიორული კანონია, რომელიც რეაქციულმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მიიღეს".

მას შემდეგ, რაც 10 დღის წინათ საარბიტრაჟო სასამართლო შეუდგა პროფკავშირულ მოღვაწეთა საქმეების გარჩევას, საპყრობილეში უკვე ჩასვეს 6 კაცი, მათ შორის მაღაროელთა პროფკავშირების ხუთი ხელმძღვანელი მოღვაწე.

## ავსტრალიელ მაღაროელთა გაფიცვის გამო

**სიდნეი,** 14 ივლისი. (საკდესი). ახალი სამხრეთი უელსის შტატის მთავრობას განზრახული აქვს გაზიდოს ქვანახშირის აუზებიდან ნახშირი, რომელიც რკინიგზის ვაგონებში ჩატვირთული იყო გაფიცვამდე. მაღაროელთა პროფკავშირებმა და სხვა პროფკავშირებმა „ყადაღადადებულად" გამოაცხადეს ეს ნახშირი. მემარჯვენე ლეიბორისტები ცდილობენ დაიყოლიონ რკინიგზელები ამ ქვანახშირის გადაზიდვაზე. მაგრამ მთელმა რიგმა პროფკავშირებმა უკვე განაცხადეს, რომ მუშები ამ ქვანახშირს არ გამოიყენებენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი სიდნეიში ჩაიტანეს. მშენებელ მუშათა პროფკავშირმა დეპეშა გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ ჩიფლის და გააფრთხილა, რომ ამ კავშირის წევრები არ იმუშავებენ მანქანებზე, ან ქარხნებში, რომლებიც „ყადაღადადებულ" ქვანახშირს იყენებენ.

დღეს ქვანახშირის შახტებში დიდი მაშველი ძალები გაუგზავნეს პოლიციელებს. ახალი სამხრეთი უელსის შტატის ქვანახშირის ერთ-ერთ ცენტრში ფედერალური პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა უოტკინსმა და ამავე შტატის პარლამენტის წევრმა ლეიბორისტებმა სცადეს გამოსულიყვნენ მეშახტეთა წინაშე და დაერწმუნებინათ ისინი სამუშაოზე დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ მათ უსტვინეს და მოსთხოვეს პროფკავშირულ ლიდერთა განთავისუფლება.

მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებათა წინააღმდეგ მრავალ საპროტესტო დემონსტრაციასა და მიტინგთან დაკავშირებით გაუქმებულია პოლიციელთა ყველა შვებულება.

**სიდნეი,** 16 ივლისი. (საკდესი). ახალი სამხრეთი უელსის შტატის მთავრობა პოლიციის ძლიერი დაცვით შეუდგა ქვანახშირის გადმოზიდვას სიდნეიში, რომელიც რკინიგზის ვაგონებში ჩაიტვირთა ჩრდილოეთის ქვანახშირის აუზის შახტების ახლოს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაფიცვა დაიწყებოდა. რკინიგზის თორმეტი სადგურის უფროსები, რომლებმაც უარი თქვეს ამ ქვანახშირით დატვირთული მატარებლების მომსახურებაზე, რადგან გაფიცულმა მეშახტეებმა ისინი „ყადაღადადებულად" გამოაცხადეს, ხელისუფლებმა თანამდებობიდან გადააყენეს.

## ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ კრებაში

**პრაღა,** 16 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ ერთსულოვნად მიიღო მთავრობის მიერ შეტანილი კანონი ჩეხოსლოვაკიაში სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების შესახებ. კანონის საფუძველზე არსდება ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, ჩეხოსლოვაკიაში სპორტის ყოველმხრივი განვითარებისათვის ფართო შესაძლებლობა იქმნება.

ეროვნული კრების თავმჯდომარის რწმუნების ვადის გასვლის გამო პარლამენტმა, ახელმძღვანელა რა კონსტიტუციით, კვლავ ერთხმად აირჩია ეროვნული კრების თავმჯდომარედ დოქტორი იონი. ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ვაცლავ დავიდი, ა. გოდინოვა-სპურნა, ფ. კომზალა, დ. პოლანსკი, ვ. პროხაზკა, ფ. რიხტერი, ი. ვალო და ა. ქიაკი.

## პროტესტები ჰოლანდიაში პოლიციის ტერორის წინააღმდეგ

**ჰააგა,** 16 ივლისი. (საკდესი). პრესის ცნობით, ამსტერდამის მუნიციპალური საბჭოს წევრი კომუნისტების წინააღმდეგ პოლიციის პროვოკაციულმა მოქმედებამ ჰოლანდიის მშრომელთა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. ამსტერდამის მრავალ საწარმოთა კოლექტივებმა გადამწყვეტი პროტესტი განაცხადეს პოლიციის ტერორის წინააღმდეგ.

როგორც ანპის სააგენტო იუწყება, როტერდამის მშრომელები მოითხოვენ, რომ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებმაც დემონსტრანტებს სცემეს ამსტერდამში, აგრეთვე პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამსტერდამის მუნიციპალური საბჭოს წევრთა ცემაში. როტერდამში გააკრეს პლაკატი — მიმართვები ქალაქის მოსახლეობისადმი, რომლებითაც მოუწოდებდნენ პროტესტი განეცხადებინათ ხელისუფალთა პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ. როტერდამში პოლიციამ რამდენიმე მუშა დააპატიმრა.

გაზეთი „დე ვაარჰეიდი" წერს, რომ ამერიკელ ომის გამჩაღებელთა გავლენით ჰოლანდიაში ფაშიზმის აღორძინება ხდება. „პოლიციის თარეში და ტერორი ამსტერდამში, ჰააგაში, ჰარლემსა და სხვა ქალაქებში,—აღნიშნავს გაზეთი — ამას ადასტურებს. რეაქციას სურს ფეხქვეშ გათელოს ხალხის დემოკრატიული უფლებანი. ფაშიზმი კვლავ გამოდის ასპარეზზე... ჰოლანდიის მშრომელები უნდა გაერთიანდნენ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლაში".

## უმუშევრობის ზრდა დასავლეთ გერმანიაში

**ბერლინი,** 15 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, იქ შედგა დასავლეთ გერმანიის მხარეთა შრომის მინისტრების თათბირი, რომელიც მიეძღვნა უმუშევრობის პრობლემის განხილვას. მინისტრებმა აღიარეს, რომ უმუშევრობა დასავლეთ ზონებში „სახიფათო ხასიათს" იღებს. შრომის მინისტრების გადაწყვეტილებაში ოფიციალურად არის განცხადებული, რომ დასავლეთ გერმანიაში ამჟამად რეგისტრირებულია 1 მილიონ 250 ათასი უმუშევარი. გარდა ამისა, ასეულ ათასობით ადამიანს მხოლოდ დროებითი სამუშაო აქვს.

## წინააღმდეგობანი ბენილუქსის ქვეყნებს შორის

**ბრიუსელი,** 14 ივლისი. (საკდესი). ბელგიის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, რომ ბენილუქსის ქვეყნებს (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) შორის არსებობს ეკონომიური, პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ფინანსური ხასიათის ღრმა წინააღმდეგობანი.

ეს წინააღმდეგობანი იმდენად დიდია, — წერს გაზეთი „სუარი", — რომ ბენილუქსის ქვეყნების მინისტრების მიერ ერთი წლის წინათ შატო დე არდენსა (ბელგია) და ოთხი თვის წინათ ჰააგაში მიღებული გადაწყვეტილებანი არ სრულდება. ამ შეთანხმებათა ძალაში შესვლის თარიღი გადადებულია, და არავინ იცის, ეს თარიღი როდის დადგება.

## ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებანი თბილისის სტადიონებსა და სასპორტო მოედნებზე

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გაიმართება მასობრივი ფიზკულტურული შეჯიბრებანი და სეირნობანი.

დღეს, 17 ივლისს, მცხეთის რესპუბლიკურ წყალცხომარდობის სადგურში ეწყობა მასობრივი ფიზკულტურული დღესასწაული და ახალგაზრდობის სეირნობა. ჩატარდება შეჯიბრება ნიჩბის მოსმაში, წყალბურთში და სხვადასხვა დისტანციაზე ცურვაში.

თბილისის წყალცხომარდობის სადგურში გაიმართება შეჯიბრება სხვადასხვა სახეობაში: წყალბურთი, 100 და 200 მეტრის დისტანციაზე ცურვა — რეკორდების დამყარება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის სპორტულ საზოგადოებათა გუნდები.

ველოსტადიონზე ქართულ, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში ერთმანეთს შეხვდებიან ქალაქის საუკეთესო მოჭიდავეები.

აქვე იწარმოებს საჩვენებელი შეჯიბრება ტანვარჯიშში, ველო და მოტოსპორტში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო სპორტსმენები.

ჩოგბურთის კორტებზე გაიმართება საკვალიფიკაციო შეჯიბრება ჩოგბურთში, კიროვის სახელობის პარკში—კალათბურთსა და ფრენბურთში.

თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე სპორტული საზოგადოება „დინამოს" ხაზით [illegible] სა და საფეხბურთო [illegible] სხვადასხვა [illegible] ძალზე.

ამავე სტადიონზე საღამოს 6 ს. და 30 წ. შედგება სსრ კავშირის პირველობაზე გათამაშების კალენდარული მატჩი ფეხბურთში II ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდებიან ტალინის „კალევისა" და გათამაშების ლიდერის თბილისის „სპარტაკის" გუნდები.

ფიზკულტურელთა მასობრივი შეჯიბრებები ჩატარდება აგრეთვე ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს სპორტმოედანზე და კინოსტუდიის ფიზკულტურელთა მოედანზე.

სტალინის სახელობის, ორჯონიკიძისა და გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში მოეწყობა ფიზკულტურელთა გამოსვლები თემაზე: „სპორტის საღამო".

23 ივლისს კიროვის სახელობის პარკში იხსნება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ბაზა — კალათბურთის სტადიონი. სტადიონის გახსნის დღეს გაიმართება შეჯიბრება გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ოსტატები და საქართველოს ფალავნები.

24-30 ივლისს ჭიათურაში ტარდება საქართველოს პირველობაზე (მეორე ჯგუფში) შეჯიბრება კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ჭიათურის, გორის, თელავის, სიღნაღის, ზესტაფონის და სხვა რაიონების გუნდები.

## „ტექნიკა და შრომას" ახალი გამოცემები

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ" გამოსცა შემდეგი ტექნიკური ხასიათის წიგნები:

პროფესორ ვ. დანილევსკის **„მსოფლიო ტექნიკის რუსი ნოვატორები".** წიგნი შეიცავს 28 გვერდს და ღირს 1 მან. 75 კაპ.

**ლ. ბელკინდის** წიგნში **„პავლე ნიკოლოზის-ძე იაბლოჩკოვი"** გაშუქებულია დიდი მეცნიერის პროფესორ პ. ნ. იაბლოჩკოვის ცხოვრება და მისი დამსახურება ელექტროტექნიკის დარგში. წიგნი შეიცავს 56 გვერდს და ღირს 3 მანეთი.

**ვ. იანვარაშვილი — „პროფესორი ა. ს. პოპოვი — რადიოს გამომგონებელი".** წიგნში აღწერილია დიდი რუსი მეცნიერის, რადიოს გამომგონებლის პოპოვის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნი ღირს 2 მანეთი.

**მ. კუპაიძის, პ. დევიძის, ლ. კილენჯერიძის — „გადაცემები და მარტივი მანქანები".** წიგნში, რომელიც შედგება 4 განყოფილებისაგან, გაშუქებულია ზოგიერთი ცნობები მექანიკიდან, მარტივი მანქანები, ხახუნი მარტივ მანქანაში, მარტივი მანქანების ელემენტები, გადაცემები და სხვა. წიგნის რედაქტორია პროფესორი ა. გულისაშვილი, შეიცავს 150 გვერდს და ღირს 3 მანეთი და 85 კაპიკი.

**ი. მიხაილოვისა და ს. ჩოჩიას წიგნი „ახალი ფართობების ათვისების მექანიზაცია".** წიგნის რედაქტორია ი. ხოხლოვი.

## სოფიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

სოფიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამხ. კ. ე. ვოროშილოვი. დელეგაცია დაესწრო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გ. მ. დიმიტროვის დაკრძალვას. (საკდესი).

## ქ რ ო ნ ი კ ა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რსფსრ განათლების მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ა. ვოზნესენსკი.

* * *

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ი. ა. კაიროვი რსფსრ განათლების მინისტრად.

## სპორტსკოლის აღზრდილები— მოწინავე ფიზკულტურელები

**ხაშური.** (საკ. კორ.). წლევანდელ საზაფხულო სპორტულ სეზონს მომზადებული შეხვდნენ ხაშურელი ფიზკულტურელები. ხაშურის ფიზკულტურის საქმეთა რაიონული კომიტეტის ინიციატივით მიმდინარე წელს უკვე მოეწყო შეჯიბრება მოსწავლეთა სკოლის პირველობაზე ფრენბურთსა და კალათბურთში, შეჯიბრება სარაიონთაშორისო პირველობაზე ფეხბურთში. ახლა მიმდინარეობს შეჯიბრება სარაიონთაშორისო პირველობაზე, სადაც ხაშურელი ფიზკულტურელები საუკეთესო შედეგებს აღწევენ. ფეხბურთში ხაშურელებმა დაამარცხეს რუსთავის, სტალინირის, ბორჯომის, ფოთის, გუდაუთისა და ოჩამჩირის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდები და პირველობას ინარჩუნებენ.

ხაშურელი მოწინავე სპორტსმენები — თენგიზ გარშკოვი, ნოდარ კაპალეიშვილი, გივი ქურდაძე, გიორგი გრიგოლაშვილი, ნოდარ ნადირაშვილი და მრავალი სხვა — ზედმიწევნით ეუფლებიან სპორტულ ხელოვნებას.

## სასამართლო ქრონიკა

### აბორტმკეთებლის დასჯა

მარო კუხიანიძე არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას არ ეწეოდა და შემოსავლის წყაროდ აბორტების გაკეთება გაიხადა. 1942 წლიდან იგი სისტემატურად აკეთებდა აბორტებს ანტისანიტარულ პირობებში. მას დანაშაულის ადგილზე მიუსწრეს.

ქუთაისის ქალაქის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ამას წინათ გაარჩია საქმე და აბორტმკეთებელ მ. ი. კუხიანიძეს მიუსაჯა 10 წლის პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**18 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. კ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

## შ ე ს წ ო რ ე ბ ა

„კომუნისტის" გუშინდელი მოწინავის პირველი სვეტის მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: **„პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელი ქალაქად იწყება პირველ ოქტომბერს, სოფელ ადგილებში 15 ოქტომბერს",** შემდეგ, როგორც ტექსტშია.

**პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი**


დღეს, 17 ივლისს **სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს** საქართველოს სსრ აეროკლუბის აეროდრომზე ეწყობა

**საავიაციო დღესასწაული**

აეროდრომზე გაიმართება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი

**აერბურთების ფრენა**

**საჰაერო პარადი**

**თვითმფრინავთა პილოტაჟი**

**საჰაერო მატარებლის ფრენა**

**ჯგუფური ხტომა თვითმფრინავებიდან პარაშუტით**

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღესასწაული დაიწყება შუადღის 12 საათზე ადგილობრივი დროით.

აეროდრომზე შესვლა თავისუფალია.

**საქართველოს სსრ ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი**



**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს **კონკურსს ფიზიკური აღზრდის და საექიმო ფიზიკური კულტურის კათედრის გამგის თანამდებობაზე.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება სათანადოდ შემოწმებული შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, საბუთი სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომები და ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (მელიქიშვილის ქ. № 16).



**მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე** შესვლის მსურველებს შეუძლიათ მისაღები გამოცდები ჩააბარონ თბილისში შექმნილ საგამოცდო კომისიას.

ფაკულტეტზე მიიღებიან 17-25 წლის ასაკის მოქალაქენი, უპირატესად ვაჟები.

მისაღები გამოცდები იწარმოებს უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისათვის დანიშნულ საგნებში.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები გამოცდას აბარებენ მხოლოდ მათემატიკასა და ფიზიკაში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. ავტობიოგრაფია (დაწესებული ფორმით), 2. ატესტატი, 3. ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და სამი ფოტოსურათი, 3×4 სმ. ზომის (შემოწმებული). განცხადება და ავტობიოგრაფია წარმოდგენილ უნდა იქნას რუსულ ენაზე, განცხადება მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 20 ივლისამდე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილში ამხ. ვ. კოპალიანთან, 3 საათიდან 6 საათამდე (მარის ქ. № 1, I სართულზე).



### 17 ივლისს კინოთეატრებში

| | |
|---|---|
| „რუსთაველის" სახელობის რუსთაველის პროსპ. 7 ტელ. 3-09-50 | **„უკანასკნელი რაუნდი"** დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს. |
| „ოქტომბერი" პლეხანოვის პროსპ. 135 ტელ. 3-39-84 | **„უკანასკნელი რაუნდი"** დასაწყ. 4-30, 6, 7-30, 9, 10-20 ს. |
| „ამირანი" პლეხანოვის პროსპ. 125 ტელ. 3-46-61 | (საზაფხულო) **„სიცოცხლით მოვაჭრენი"** დასაწყისი 9, 10-30 ს. (ზამთრის) **„სიცოცხლით მოვაჭრენი"** დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8, 10 ს. |
| „თბილისი" ჯორჯიაშვილის ქ. № 2 ტელ. 3-57-88 | **„სიცოცხლით მოვაჭრენი"** დასაწყისი 4-30, 6-30, 8-30, 10-30 საათზე |
| „სპარტაკი" რუსთაველის პროსპ. 23 ტელ. 3-08-27 | (დღისით) **1949 წ. 1 მაისი** (ფერადი ფილმი) დასაწყ. 12, 2 ს. (საღამოს) **„ანდალუზიის ღამეები"** (კარმენ) დასაწყ. 4, 5-50, 7-50, 9-50 ს. |
| „კომკავშირელი" პლეხანოვის პროსპ. № 93 ტელ. 3-29-61 | (საზაფხულო) **„უკანასკნელი რაუნდი"** დასაწყისი 9, 10-40 ს. (ზამთრის) **„უკანასკნელი რაუნდი"** დასაწყ. 5, 6-30, 8-10, 9-50 ს. |
| 26 კომისრის სახელობის შაუმიანის მოედანი, 1 ტელ. 3-43-09 | (საზაფხულო) **„დაკარგული სამოთხე"** დასაწყისი 9, 10-30 ს. (ზამთრის) **„უკანასკნელი რაუნდი"** დასაწყისი 12, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 10-30 ს. |



ზემდგომი ორგანოების განკარგულების თანახმად ხდება **საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული 2-წლიანი იურიდიული სკოლის ლიკვიდაცია.** დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია აღნიშნული სკოლისადმი, შეუძლიათ წარმოუდგინონ სალიკვიდაციო კომისიას 10 დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, რის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ლიკვიდკომის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32.


ა. მარჯანიშვილი, ი. ბასილაშვილი, ნ. ქეცბა, ბ. მეავია, ა. ყალიჩავა, ი. გორდეზიანი, დ. მინდაძე, ა. შაიშმელაშვილი, ზ. მამამთავრიშვილი, ვ. გოშელაური, დ. ყენია, დ. აბდუშელიშვილი, გ. გაბუნია, შ. დოლიძე, დ. ჯაფარიძე, კ. ჩიჩელაშვილი იუწყებიან **ალექსანდრე ვასილის-ძე ჩირგაძის** გარდაცვალებას.

შვილები ლუბა, ლავრენტი, ლეო, ამბაკო, რძლები ვალია, ანა ცანავები, სიძეები პ. კუტივაძე, გ. ახმეტელი, შვილიშვილები თეიმურაზ, თამარ, გულნაზი, ნინო, ლიუდმილა იუწყებიან **ანა ცანავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-VII, 8 ს. გამოსვენება 19-VII, 6 ს. მოსკოვის, 22.

საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სამმართველო იუწყება ცემის სანატორიუმის მთავარი ექიმის შ. კიზირიას დედის **დესპინე კიზირიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-VII, 5 ს. ლერმონტოვის, 9.

დედა ვერა, ძმა გიორგი, და ნინო ბილანიშვილები, დავით და ლოლა ბონდარევები, ნასტია ფეოდოროვა, ლევან გოგუაძე, თინა მელვინქთხუციშვილი, ტატა ზახაროვა იუწყებიან **ვალია ბილანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-VII, 6 ს. ზარნოვის 73-ა.

აბასთუმნის ტუბინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ვალენტინა ვლადიმერის ასულ ბილანიშვილის** გარდაცვალებას.

ი. ჰელიძე, რ. თოხაძე, მ. ალადაშვილი, ე. ყოჩიშვილი, ო. შომახია, ნ. კანდელაკი, ე. კვალიაშვილი, ნ. გოცირიძე, ნ. კაშია და ნ. დოლიძე იუწყებიან ც ლოლუას მამის **ლევან ლოლუას** გარდაცვალებას.

ქალთა მე-20 საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება **ელისო მიხეილის ასულ შავიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-VII, 5 ს. მაგისტრალის, 37.

კერესელიძე, ცქიტიშვილი, ბარათაშვილი, ნემსიწვერიძე, მუჯირი, ლაცაბიძე, მარგველაშვილი, კანდელაკი, ხერხაძე, გოგუაძე, ციცაგი, ჩიქობავა, ჩაჩანიძე, გიორგობიანი თანაგრძნობას უცხადებენ შ. კიზირიას მისი დედის **დესპინეს** გარდაცვალების გამო.

სიმონ, სოფიო, ალექსანდრე და ლიდა მარჯანიშვილები იუწყებიან **ალექსანდრე ვასილის-ძე ჩირგაძის** გარდაცვალებას.

დეიდა ეფემია და კონსტანტინე გოქაძეები, დეიდაშვილები ანიკო, გრიშა ვაშაკიძეები, მერი, შალვა კანკავები ოჯახებით იუწყებიან **იპოლიტე დომენტის-ძე დვალის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VII, ს. შავრაში.

თბილუნივერმაღის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ვ. იაკობიძის დედის **ბარბარე სერგოს ასულ იაკობიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-VII სოფელ ქვეშში (გორის რაიონი).

მამა ვასილ, მეუღლე ტატიანა, შვილები გურამ და გივი, და ნადია, ძმა დავით იუწყებიან **ალექსანდრე ჩირგაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-VII, 8 ს. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ჭავჭავაძის, 24.

სიდედრი მენიკი, ცოლისძმები ილია და მიშა საბახტარიშვილები, ლუდი ზაბილუა, კოლია გობეჩია ოჯახებით იუწყებიან სიძის **ალექსანდრე ვასილის-ძე ჩირგაძის** გარდაცვალებას.

ოლღა, მიშა და დოდო გაბისონიები თანაგრძნობას უცხადებენ შ. კიზირიას მისი დედის **დესპინეს** გარდაცვალების გამო.

დედა ცუცუ, დები არეთა და ქეთევან, ძმა ალექსი ლოლუები ოჯახით იუწყებიან **ლევანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-VII, 6 ს. მარჯანიშვილის, 4.

ვერა, ლენა და სერგო დუმბაძეები შვილებით, კატო და ალექსანდრე ლექვინაძეები, გრიშა დუმბაძე, ტანია და სტეფანე გალუსტოვები იუწყებიან სიძის **ლევან მიხეილის-ძე ლოლუას** გარდაცვალებას.

დედა ანეტა, დები ქენია და მანია საძაგლიშვილები იუწყებიან, რომ 19-VII, 5 ს. სტალინირში დანიშნულია **შალვა იასონის-ძე საძაგლიშვილის** პანაშვიდი.

შ. გეგეშიძე, ლ. ჩოლოყაშვილი, ს. შურღაია, ო. გვენცაძე, კ. ანთაძე, ა. ესაიანი, რ. რუხაძე, ლ. ოგანეზოვი, ა. ჩიქობავა, ი. აბზიანიძე, ვ. დანელია, მ. სმირნოვა, ტ. ქარუმიძე იუწყებიან დამსახურებული ექიმის **ნიკოლოზ მრევლიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე პანტელეიმონ ყორყოლიანი, ბებია თამარ კაკაბაძე, მული თალიკო, მაზლი ვახტანგ ცოლშვილით ყორყოლიანები, სიძე კლიმენტი თევზაძე იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ ზარდიაშვილი-ყორყოლიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს., გამოსვენება 21-VII, 6 ს. გოგოლის, 59.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 01863